



מִזְרָחַת  
בְּנֵי־  
יִשְׂרָאֵל

לְמִזְרָחַת



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მ თ ა მ ა მ

№ 4 (37)

10.199



19 თბილისი 66

### რედაქტორი — გ. პიპაძე

---

**სარეალურ კოლეგია:** დ. ანთაძე, შ. აფხაძე, ჭ. გომაშვილი,  
ნ. გურაბანიძე, ო. ეგაძე, ღ. მჭედლიძე  
ბ. ულენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,  
ა. ხორავა, ღ. ჯანელიძე.

---

## ტრადიციები და თანამედროვეობა

ეს წელი შევა საქართველოს მრავალსაუ-  
ცუნოვანი კულტურის მატიანეში, როგორც  
ნათელი და საინტერესო ფურცელი, რომელ-  
საც გატაცებით წაიკითხავენ არა მარტო ხვალ,  
არამედ მრავალი ათეული წლის შემდეგაც და-  
ეს საესტებით გასაგებია: — ჩვენი ხალხის უკა-  
დავი შეილის შოთა რუსთაველის რგაასი წლის  
იუბილე ჭეშმარიტად უდიდესი მოვლენაა,  
რომლის მნიშვნელობის გადაფასება შეუძლე-  
ბელია. ამ უდიდესი მოვლენისათვის მზადე-  
ბამ გამოაცოცხლა ჩვენი რესპუბლიკის შემოქ-  
მედებითი ძალები, დაგვანახა მისი ჭეშმარი-  
ტად განუზომელი პოტენციალი, ხოლო თვით  
იუბილე ამ უკანასკნელ წლებში ჩვენს მიერ  
მომოვებულ წარმატებათა დათვალიერებად  
გადაიქცა.

როგორც ცნობილია საქმეთა შესახებ  
უწინარეს ყოვლისა მათი შედეგების მიხედ-  
ვით მსჯელობენ, ძირითადი შედეგი ქართუ-  
ლი კულტურის დათვალიერებისა გამოიხატა  
ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის  
დიდი მიღწევების საყოველთაო აღიარებასა  
და დამკვიდრებაში: მან დაგვანახა ის დიდი  
წვლილი, რომელიც ჩვენმა ხალხმა შეიტანა  
ძმურ საბჭოთა ოჯახის მრავალეროვან კულ-  
ტურულ საგანძურში. ამ დროისათვის დამახა-  
სიათებელია ქართული კულტურის მასაბრი-  
ვი გასვლა საქავშირო ასპარეზზე, მისი წარ-  
მომადგენლების დიდი გამარჯვებები საბჭოთა  
კავშირის საზღვრებს გარეთაც.

ყველივე ეს მჭერმეტყველურად მოწ-  
მობს ჩვენს ჩვეყანაში დიდი ოქტომბრის რე-  
ვოლუციის მონაბოვარით, რომელმაც ყველა  
ხალხს მიანიჭა უფლება განავითაროს რაც სა-  
უკეთესო და თვითმყობადია მის ეროვნულ  
ხელოვნებაში, გააღრმავოს და განამტკიცოს  
შემოქმედებითი კონტაქტები ყველა მომქი-  
ნალხთან, რაც იწვევს არა მარტო ურთიერთ-  
გამდიდრებას, არამედ ქმნის კიდეც მტკიცე სა-  
ფუძველს შემდგომი წინსვლისათვის.

რა თქმა უნდა, როდესაც ვლაპარაკობთ  
ჩვენი კულტურის განვითარებასა და წარმატე-  
ბებზე, ჩვენ ამასთანავე ვლაპარაკობთ მთლია-  
ნად სოციალისტური საზოგადოების განვითა-

რების შესახებაც, იქნება ეს ეკონომიკისა, თუ  
სოფლის მეურნეობის დარგში, რადგან კულ-  
ტურა განუყრელადაა დაკავშირებული ხალ-  
ხის ცხოვრებასთან, საზოგადოების ცხოვრე-  
ბასთან, რომლის იდეებსაც იგი გამოხატავს,  
რომლის განუყრელ ნაწილსაც იგი წარმოად-  
გენს. ვკვალავთ რა ახალ გზებს კულტურისა  
და ხელოვნების განვითარებაში, ჩვენ ვაგრძე-  
ლებთ ჩვენი წინაპრების ტრადიციებს, რომ-  
ლებიც იქმნებოდნენ ქართველი ხალხის მრა-  
ვალ საუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე, ჩვე-  
ნი რესპუბლიკის აღმავლობისა და გაფურჩქვ-  
ნის მრავალი ათეული წლის მანძილზე.

დღეს საბჭოთა საქართველოს მხატვრებმა  
და პოეტებმა, მეცნიერებმა და მსახიობებმა,  
მოქანდაკებმა, არქიტექტორებმა და კომპო-  
ზიტორებმა ხელოვნება, მეცნიერება, ლიტე-  
რატურა და მუსიკა ახალ მწვერვალებზე აიყ-  
ვანეს.

მათს შემოქმედებას იცნობენ არა მარტო  
საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლი-  
კაში, არამედ მის საზოგრებს გარეთაც. ეს  
ფაქტი სიტყვებზე უფრო მჭერმეტყველურად  
ღალადებს სოციალისტური კულტურის ცხო-  
ველმყოფლების შესახებ, მისი იდეების და-  
უშრეტელი ძლიერების შესახებ, — სოცია-  
ლისტური კულტურისა, რომელიც მატარებე-  
ლია საუკეთესო ტრადიციებისა და აქტიურა  
მებრძოლია ჰუმანიზმის, ხალხთა მეგობრობის,  
მშვიდობის, პროგრესისა და სიმართლის კე-  
თილშობილური იდეებისათვის.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკა-  
ში შეიქმნა ლიტერატურისა და ხელოვნების  
ბევრი საუკეთესო ნაწარმოები, რომელთაც  
ხალხის სიყვარული და აღიარება დაიმსახუ-  
რეს, დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა  
კომპოზიტორებმა. ამიერკავკასიის მუსიკალუ-  
რი გაზაფხული, რომლის ერთ-ერთი ტური სა-  
ქართველოში ჩატარდა, — გამარჯვებები, რომ-  
ლებიც მოიპოვეს ქართველმა კომპოზიტო-  
რებმა მოსკოვში დათვალიერებებზე და კომ-  
პოზიტორთა კავშირის პლენუმზე, — მუსი-  
კალური ფესტივალები ბულგარეთში, — ჩვე-  
ნი რესპუბლიკის წარმომაღვენელთა წარმატე-  
ბების შესახებაც, იქნება ეს ეკონომიკისა, თუ

ბითი გამოსვლები ბევრ საერთაშორისო კონკურსზე — აი ამ ფაქტების არასრული ისა, რომელიც მოხდა დროის ამ შედარებით მოკლე მონაცვეთზე. და განა მარტო ეს? განა სასიხაულო არ არის, რომ ჩვენი თანამემამულის რ. გაბიჩვაძის ოპერა იდგმებოდა ბერლინში. რომ ფ. ღლონტის სიმფონია აყელრდა შორეულ ირკუტსჭი, რომ მარჯანიშვილის სახელმძღვანელოს თეატრის კოლექტივი წარმატებით გამოვიდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. რომ წარმატებით ჩატარდა სოხუმის ქართული თეატრის გასტროლები თდესაშა. რომ თითქმის არ დარჩა დედამიწის აჩც ერთი ქვეყანა. სადაც ტაში არ უკრავლენ ჩვენს მოცეკვავეთა შესანიშნავ ხელოვნებას?!

ამა წლის იმ დღიდ მოვლენათა, რიცხვს. რომელიც მოხდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, უნდა მივაკუთვნოთ ისიც, რომ ლენინური პრემია მიენიჭა სცენის გმირჩენილოსტატს სერგო ზაქარიაძეს. რომლის შესა-იშნავმა ხელოვნებამ მაღალი შეფასება და-იმსახურა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. არა-მედ საზღვარგარეთაც. ამ წელს საერთაშორი-სო ასპარეზზე გავიდა საესტრადო ორკესტრის „რერო“-ს კოლექტივიც. რომელმაც მონაწილეობა მიიღო პარიზში საბჭოთა შეზიკ — ჰოლის სპექტაკლებში. პირველი პრემია და ოქროს მედალი მოიპოვა თბილისის სახელ-მწიფო კონსერვატორიის ასპირანტმა ელინოვირსალაძემ შუმანის სახელმძღვანელოს მეოთხე სა-ერთაშორისო კონკურსზე. საპასუხისმგებლივ გამოცდისათვის ემზადებიან ქართული ბალეტის ლსტატები, რომელთაც უნდა დაიცვან საბჭოთა ხელოვნების ღირსება საფრანგეთში. რესთაველის სახელმძღვანელოს თეატრი საგასტრო-ლოდ მაემგზავრება მოსკოვში. სადაც სახელ-განთქმული კოლექტივი წაიღებს თავის საუკეთესო სპექტაკლებს.

ყოველივე ეს. რა თქმა უნდა, მოწმობს იმას, რომ მხოლოდ ჩვენ საბჭოთა საზოგადოებაში. მხოლოდ სოციალიზმის პირობებში ყოველი ხალხის კულტურის წარმომადგენლუ-ბი, მშრომელთა უფართოესი მასები დაინტე-რესებული არიან არა მარტო თავიანთი ხალ-ხის, არამედ სხვა ხალხების ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებით. ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე. რომ ადამიანთა მხოლოდ სოციალიზმის დროს მა-იღო ჭეშმარიტად განუსაზღვრელი შესაძ-

ლებლობანი თავისი შემოქმედებისათვის, თა-ვისი სულიერი სრულყოფისა და ზრდისათვის, რომ ეს შესაძლებლობანი დაუშერეტელია.

ამ თვალსაზრისით მინდა ერთხელ კიდევ დაუუბრუნდე რუსთაველს, ვინაიდან საქართველოს დაიღილი შვილის იუბილე გასცდა პოეტის პატივისცემის ჩარჩოებს და გადაიცეა ქართული კულტურის. მეცნიერებისა და ლი-ტერატურის მიღწევათა თავისებურ დათვალიერებას. რომელმაც ღრმად და შთამბეჭდავად გამოავლინა ხელოვნების ყველა სახის, ყველა უანრისა და მიმართულების წარმომაზე ელემენტთა დაიღი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

ჩვენი კულტურის მკაფიო და დიდი ხნით დასამახსოვრებელ ზეიმად იქცა ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში. რომლის დრო-საც დედაქალაქის მცხოვრებნი, ბევრი მოძმერებულიერის წარმომადგენლები. რომელიც მოსკოვში ჩამოვიდნენ საიუბილეო ზეიმზე, უშუალოდ დარწმუნდნენ იმაში, თუ რა სი-მაღლეებს შესწყდა ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა საქართველოს კულტურა. ათი დღის განმავლობაში, მოსკოვის საკონცერტო დარბაზებში, კლუბებსა და კულტურის სახლებში, ულერდა ქართული მუსიკა. გაისმოდა ქართველი პოეტების ლექსები, მოსკოველები ტაში უკრავდნენ ჩვენი მუსიკოსების, მომღერლების, მოცეკვავეებისა და მსახიობების შთაგონებულ ხელოვნებას. ამ შესანიშნავი ზეიმსა აპოთეოზი იყო დასკვნითი კონცერტი, რომელიც გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე.

ათასობით მოსკოველი იმ საღამოს ტაშს უკრავდა და მიესამღებოდა ქართული ხელოვნების ოსტატებს. კონცერტი გადაიცეა ხალხთა მეგობრობისა და ქმობის ნამდვილ ღილასწაულად და თვალსაზრინ გახადა ტრა-დიციებისა და თანამედროვეობის განუყრელი ერთანობა და ქართული ხელოვნების წარმატებები ყველა უანრი. ამ დღი მოვლენას და-ემთხვე ქართველ კომპოზიტორთა და შემსრულებელთა შესანიშნავი გამარჯვებაც საბჭოთა სიმღერის საკავშირო კონკურსზე, სადაც საქართველოს წარმომადგენლება ვ. მაისურაძემ იქროს მედალი მოიპოვა. წარმატებით გამოვიდა აგრეთვე კვარტეტი მ. ხატელიშვილის ხელმძღვანელობით. რომელსაც მესამე პრემია მიენიჭა. ეს წარმატება, შემსრუ-

ლებლებთან ერთად. გაიზიარეს ჩვენმა სიმ-  
ღერების შემქმნელმა კომპოზიტორებმაც შო-  
თა მილორავამ და გიორგი ცაბაძემ, რომელ-  
თა ნაწარმოებები ასეთ წარმომადგენლობითს  
ფორუმზე საუკეთესოთა შორის აღმოჩნდნენ.

ყოველივე ეს ადასტურებს ქართულა-  
კულტურის დიდ მიღწევებს, — ქართული  
კულტურისას, რომელსაც დღეს სამართლია-  
ნად ღირსეული ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნას  
ხალხთა ძმურ ოჯახში. ეჭვი არ არის. რომ  
ჩვენ ძალა შეგვწევს მივაღწიოთ ახალ მწვერ-  
ვალებს და მოვაპოვოთ ახალი გამარჯვებები.  
ვინაიდან წლევანდელი წელი, გაცისკროვნე-  
ბული დიდი რუსთაველის სახელით. ყოველ-  
გვარ საფუძველს გვაძლევს ასეთი დასკვნი-  
სათვის.

საქართველოს მხატვრული ინტელიგენ-  
ციის ახალი შემოქმედებითი გეგმები დაკავ  
შირებულია ამჟამად დიდი ოქტომბრის ორ-

მოცდაათი წლისთავისაღმი და ვ. ი. ლენინის  
დაბადებიდან ასი წლისთავისაღმი მიძღვნილა  
ნაწარმოებების შექმნასთან. ჩვენი კომპოზი-  
ტორები. მხატვრები, მსახიობები, თეატრა-  
ლური ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის  
მოღვწენი უდიდესი პასუხისმგებლობის  
გრძნობით ემზადებიან ამ ღირსებანიშნავი  
თარიღებისათვის. და გვჯერავს. რომ  
ისინი შექმნიან თავიათი ხალხისა და დროის.  
კომუნიზმის მშენებლობის, გმირული ღროის  
ღირსეულ ნაწარმოებებს. ამის საწინარია  
საქართველოს ლამაზი და თვითმყოფადი  
კულტურის არაჩვეულებრივი გაფურჩქვნა  
რაც მკაფიოდ გამოვლინდა რუსთაველის  
დღეების დროს მოსკოვში. — და მისი წარმა-  
ტებები, რომლებმაც ერთხელ კიდევ ცხად-  
ჰყვეს სოციალისტური კულტურის ძლიერება  
და მისი ავანგარდული როლი მთელ მსოფ-  
ლიოში.

საქართველოში რუსთაველის იუბილე რომ განუმეორებელი გრანდიოზულობით, რომან-ტიკულობით და თვით დიდი შოთასაგან ბო-ძებული პოეტური ეშხით ჩატარდა, ამაში დარწმუნდა შორით მოსული სტუმარიცა და თვისივე თავის გამკილავი მასპინძელიც, მაგ-რამ ჩვენს ხალხს ქართული პოეზიის ამ უკვ-დავი რაინდისაგან ჭერ კიდევ მრავალი სიხა-რული და მოულოდნელობა ელის საქართვე-ლოს საზღვრებს იქითაც.

მოსკოვი, ლენინგრადი, ერევანი, კიევი თითქოს ერთმანეთს ეჭიბრებიანო მაღალ — ადამიანური გრძნობების გამომუღავნებაში. ამ დღეებში მოსკოვსა და კიევში სამხრეთიდან ოქროს შემოდგომის მოგზაურობაცა სასიხა-რულო. წითელ-ყვითლად დაფოთლილი კიევია ლამაზი ქუჩები შეა იქტომბერში კარგა ხანია არვის უნახავს ასეთი მოალერსე და მოკაშე. შე მზით გამთბარი. ჩვენ, რუსთაველის დღეებ-ში უკრაინის თეატრალური საზოგადოების მიერ მიწვეულებმა, სიმბოლურად აღვიქვით ბუნების ეს სიუხვე და სილამაზე.

ყურადღებას იქცევდა აფიშები, მოსაწვევი ბარათები, რომლებიც იუწყებოდნენ „ვეფხის-ტყაოსნის“ გნიალური შემქმნელის დაბალების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს შესახებ 17 იქტომბერს უკრაინის დედაქალა-ქის მსახიობის სახლში, რუსთაველის ქუჩაზე.

ჩვენი ყურადღება იმანაც მოიქცა, რომ 16 იქტომბრისათვის ფრანგის სახელობის თე-ატრი იუწყებოდა დიდი ხნის წყვეტილის შემ-დეგ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ცნობილი მსახიობის ნატალია უჟვის დაბრუ-ნებას სცენაზე. რაღა თქმა უნდა, ინტერესია გავემართეთ ალექსანდრე კორნეიჩუკის „ძა-ველის ჭალის“ სანახვად. სადაც ნ. უჟვი მთა-ვარ გმირს ნატალია კოვშის ანსახიერებს.

ნატალია უჟვის ოსტატობამ და ახალგაზრ-დულმა ტემპერამენტმა მოგვიბლა და გაგვა-ხარა. სპექტაკლის დამთავრებისას შევცვდით უკრაინული სცენის ამ სასიქადულო მსახიობს, რომელმაც არ დაგვიმალა ჩვენთან შეხვედრით გამოწვეული თავისი მღელვარება. მისივე სი-ტყვით, მას ალელვებდა დიდი შოთას საღამო.

კიევში რუსთაველის ქუჩა ფართე, გრძე-ლი და ლამაზია. სწორედ ამ ქუჩაზე აგებული თეატრალური შენობა აურჩევით მასპინძ-ლებს საღამოს გასამართავად. აქ თავი მოიყა-რეს უკრაინული კულტურისა და თეატრის მოღვაწეებმა, კიევში მცხოვრებმა ქართვე-ლებმა, სტუდენტობამ. ქვეა დ. გურამიშვი-ლის მკვლევარი დ. კოსარიკი, მწერალი ო. ნო-ვიცი, სახალხო არტისტი ვ. ხარჩენკო, ხე-ლოვნებამოწოდნე ი. ვოლოშინი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ე. სტურუა და მრა-ვალი სხვა.

სხდომა გახსნა უკრაინის თეატრალური სა-ზოგადოების თავმჯდომარემ, საბჭოთა კავში-რის სახალხო არტისტმა ნატალია უჟვიმ, რო-მელმაც თქვა: „მე ძალიან ვღელავ, რაღან ვთავმჯდომარეობ ამ არაჩვეულებრივად საპა-ტიო სხდომას“.

6. უჟვიმ აღნიშნა, — თუ რა სიყვარული-სა და პატივისცემის შარავანდედითა მოცუ-ლი უკრაინაში შოთა რუსთაველის სახელი. მისი შთამაგონებელი ქმნილება უკვე დიღა ხანია შევიდა უკრაინის ლიტერატურის უძ-ვირფასეს ფონდშიო.

თავმჯდომარემ შესავალი სიტყვა ასე და-ასრულა: „გილოცავთ ჩვენს საერთო დიდე-ბულ და ბრწყინვალე დღესასწაულს. ვიყოთ ერთად, ვიყოთ მეგობრულად და სიხარულით ვიზეიმოთ დიდი ბრძენი შოთა. რუსთაველის იუბილე“.

მოხსენებისათვის „შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსნი“ თავმჯდომარემ სიტ-ყვა მისცა ფილოლოგის მეცნიერებათა დოქ-ტორის, პროფესორ შოთა ძიძეგურს, რომელ-მაც დაახსანიათ გენიალური ქმნილების ძირი-თაღა. მოტივები და ხაზი გაუსვა მის მსოფ-ლიო მნიშვნელობას.

„რუსთაველის ეპოქის თეატრის“ შესახებ მოხსენებით გამოვიდა ხელოვნებამოწოდნეო-ბის დოქტორი, პროფესორი დიმ. ჯანელიძე, რომელმაც ილაპარაკა სახიობის განვითარე-ბაზე. რასაც საფუძვლად ედვა სრულიად ჩე-მოყალიბებული ესთეტიკური შეხედულებანი

და რამაც ასახვა პპოვა რუსთაველის პოეტიკაში.

შესანიშნავი უკრაინელი პოეტი, აკადემიკოსი მიქოლა ბაუანი, რომელმაც მშობლიურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ შეეტო რუსთაველს, როგორც მორალური კოდექსს შემქმნელს. და თქვა, რომ ეს კოდექსი კი არ ძველდება. არამედ თანდათან უფრო პერსპექტიული ხდებაო. მ. ბაუანმა წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების თარგმანი.

ამაღლვებელი, მგზნებარე სიტყვა წარმოქვა მწერალმა ოლექსა ნოვიცკიმ. — „უკვდავია ხალხი, რომელმაც შვა დიდი შოთა. კარგად ვიცნობ ქართველებს. საქართველოში ჩატარდა ჰუმანიზმის, მეგობრობის, ძმობისა და მშვენიერების დღესასწაული. ვის არ აღფრთვანებდა იუბილეს ასე სამაგალითო მოწყობა! — რუსთაველი. — განაგრძო მან, — არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი ჩვენი კულტურის მშვენება და გვირგვინია. ქართველი ხალხი უფრთხილდება თავის შესანიშნავ ტრადიციებს, უყვარს თავისი გენიალური პოეტი. პოეტი, რომელიც ხალხთა მეგობრობის დიადი სიმბოლოა.

დასასრულო ოლექსა ნოვიცკიმ წაიკითხა ნაწყვეტები მის მიერ თარგმნილი გ. ლეონიძის ლექსებიდან.

სალამოზე აგრეთვე გამოვიდნენ საქ. სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, ხელ. დამს. მოღვაწე გ. ლორთქიფანიძე, ო. ეგაძე, თეატრ-მცოდნე ნ. შვანგირაძე.

საქ. სახალხო არტისტმა. საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ანთაძემ მადლობა გადაუხადა უკრაინის თეატრალურ საზოგადოებრიობას სალამოს მოწყობისათვის ზა აღნიშნა. რომ ქართველი ხალხი მომავალშიც ასე სათუთად შეინახავს შოთა რუსთაველის ხსოვნას, რომ რუსთაველისეული სიყვარული ძალას მატებს ადამიანს, ივითარებს ყოველივე საუკეთესოს რაც მას აქვს. რომ საუკუნეთა განმავლობაში „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნე უნათებდა გზას ქართველ ხალხს, უნერგავდა მას ხევლინდელი დღის რწმენას ჭირსა და ლხინში. აძლევდა სულიერ საზღვროს.

ქართული ხელოვნებისადმი დიდი პატავისცემის გრძნობითა და სიყვარულით იყო შედგენილი ხელოვნების უკრაინელ მოღვაწეთა მიერ საკონცერტო პროგრამა, რომელიც

შედგებოდა ქართული რეპერტუარისაგან.

ჩვენ ერთსულოვნად მოვაწიბლა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, დრამატულმა ბარიტონმა მიხაილ გრიშკომ, რომელიც დადი სამამულო ომის წლებში ჩვენი საოცერო თეატრის სცენას ამშვენებდა. ამ სალამოს ეს 65 წლის ბრევ მამაკაცი მღეროდა თავდავაშეყებით. მისი ძლიერი ხმა თანაბრად უღერდა ყველა რეგისტრებში. გაგვალცა მისმა მდიდარმა ტექნიკამ. ვოკალური შესრულების დიდმა ტემპერამენტმა. ასე გვიმღერა მან კიაზოს არია „დაისილან“, გოჩის არია „დარეგან“.

შესანიშნავი იყო საბჭოთა კავშირის ვოკალისტების I კონკურსის ლაურეატი ვ. იალუტი. მის პროგრამაში იყო ო. თაქთაქიშვილისა და ს. მირიანშვილის სიმღერები.

ხოლო ჩვენმა თანამემამულემ, საურთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, უკრ. ლამსახურებულმა არტისტმა. უკრაინის საოცერო თეატრის სოლისტმა ლამარა ჭყონიამ ქველგვან მოლოდინს გადააჭირდა; მის მიერ შესრულებულმა უკრაინულმა და ქართულმა სიმღერებმა ფართო აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურეს.

მასპინძლების ეს შემოქმედებითი წვა კიდევ უფრო გააღვივეს და მართლაც ქართველი ხალხის ღირსება დაიცვეს ჩვენმა საამაყოვანო გოძიაშვილმა. ბათუ კრავეიშვილმა. გურამ სალარაძემ.

ვასო გოძიაშვილის სცენიურმა ტეპერატურტმა და პლასტიკურმა გამომსახველობამ მაღლალ გემოვნებიანი აუდიტორია ოვაციებში გადაიყვანა, ხოლო გურამ სალარაძის მაღლამხატვრული კითხვა გასაგები გახდა ყველა იმისთვისაც კი, ვისაც არ ესმოდა ქართული ენა. ამიტომაც მაყურებელთა დარბაზში ფეხზე წამოდგა გ. სალარაძის მასწავლებელი დ. ალექსიძე, ავიდა სცენაზე და სიხარულით აცრემლებულმა გადაკოცნა ჭეშმარიტად დარსტატებული მსახიობი.

სალამოზე დიდი ყურადღება მიიქცა ჩვენი დელეგაციის წევრმა საქართველოს სუპროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ახალგაზრდა პედაგოგმა გ. კერესელიძემ, რომელმაც უკრაინულ ენაზე წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი (თარგმანი მ. ბაუანისა). აუდიტორიის მაღლალი შეფასება გამოხატა ნ. უკვიმ. რომელმაც მაღლობა გადაუხადა გ. კერესელიძეს და დედაშვილურად მიუაღერს,

საპასუხოდ კერძესელიძემ წაიკითხა ლესია უკანინგას ლექსი „წლისთვეზე“, რომელიც პოვტმა ქალმა ტ. შევჩენკოს გარდაცვალებას მიუძღვნა.

ქართველი ხალხის გენიალური შოთას ხსოვნა უკრაინის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა სიყვარულით და უაღრესი პატივისცემით. მასში უკრაინისა და საქართველოს წარმომაზგენლებმა ჩააქსოვეს რუსთველის დიდი იდეები, შმური და მეგობრული ურთიერთობა.

ამ იდეების გაგრძელებად უღერდა დ. ალექსიძისა და ფ. ლაპიაშვილის სპექტაკლი „ანტიგონე“, რომელიც მეორე დღეს ვნახეთ ფრანგოს სახელობის თეატრში. ამ სცენურ ნაწარმოებს უკვე ორი წლის ისტორია აქვს და მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი ბრწყინვალება. ახალგაზრდობა. მის მშვენიერებას არა მოჰკულებია რა. სპექტაკლის დასასრულს

ხალხით სავსე თეატრში, დაუსრულებელ ტაშის გრიალში. ისმოდა შეძახილები „დიდება საქართველოს“.

19 ოქტომბერს მიგვიწვიეს უკრაინულ სპექტაკლზე. ოპერისა და ბალეტის თეატრში, ი. ზნატკოვის ბალეტ „ვოლკონსკაიას“ პრემიერაზე. იგი დადგა რსთხო სახალხო არტისტების ვახ. ნადირაძე-ვრონსკიმ, — რეპეტიტორია მ. ცხომელიძე. ხოლო კონცერტმეისტერია ო. გრუზინსკი.

სპექტაკლი მაყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო, სპექტაკლმა გაგვახარა მაღალი რეჟისორული და აქტიორული მიღწევებით.

ასე დააბიჯებენ პოეზიის ეს უკვდავი რაინდი და მისი მაღლით გასხივოსნებული მასი თანამემამულენი საქართველოში და მის საზღვრებს იქით.

დიდება მას ასეთი გულუხვობისათვის.

**ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწიფო ოკერისა და გალეტის  
აკადემიური თეატრის უნივერსიტეტისა და საფრანგეთში**

უნგრეთის ქალაქ სეგედში „სეგედის თამაშობათა“ სახელწოდებით ყოველწლიურად იმართება ტრადიციული საზაფხულო თეატრალური ფესტივალი, რომელშიაც უნგრეთისა და უცხოეთის საუკეთესო კოლექტივები იღებენ მონაწილეობას.

„სეგედის თამაშობანი“ ტრადიციული მხატვრული ღონისძიებაა, რომელიც უნგრელი ხალხის მაღალ კულტურასა და გემოვნებაზე მეტყველებს. ადრე აქ გამოსულა ინგლისის ბალეტი, იტალიის საოპერო დასის სოლისტები, დადი თეატრის მოცეკვავები ულანოვასთან ერთად, უნგრელები გაეცნენ ლენინგრადის ბალეტის და სხვა საბჭოთა და უცხოეთის გამოჩენილ კოლექტივებს. და აი სეგედში საგასტროლოდ გაემგზავრა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასი.

საბალეტო კოლექტივი მეტად სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა. შერჩეულ იქნაორი სპექტაკლი: გ. თორაძის „გორდა“ და ა. მაჭავარიანის „ოტელო“. გასტროლთან დაკავშირებით შეიქმნა ორივე ბალეტის ახალი სცენური ვარიანტი: ისინი ნაწილობრივ შეიკვეცა. ამოღებულ იქნა ზოგიერთი ცეკვა და ოთხი მოქმედება სამ მოქმედებად შეიკრა, რითაც წარმოდგენები უფრო კომპაქტური და დინამიური გახდა. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ ჩვენი ბალეტის საუკეთესო ძალები: შესანიშნავი ვ. ჭაბუკიანი, ზ. კიკალეიშვილი, ვ. წიგნაძე, გ. მონავარდისაშვილი, ლ. მითაიშვილი, ი. ჯანდიერი, ვ. გუნაშვილი, ე. ჭაბუკიანი, ლ. ნადარეიშვილი და სხვები. გასტროლებზე დასს თან ახლდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კადრებისა და მუსა კალურ სასწავლებელთა განყოფილების გამგე რ. ვახტანგოვი.

უნგრეთში ჩასელისთანავე სტუმარობოვარე მასპინძლები მეტად გულთბილად შეხვდნენ ქართველ მსახიობებს. ყოველმხრივ ხელს უწყობდენ და ეხმარებოდნენ რეპეტი-

ციების ჩატარებაში. დეკორაციების გამართვაში. შუქის დაყენებაში, რაღვან სპექტაკლები მეტად უცხო ვითარებაში უნდა ჩატარებულყო: ღია ცის ქვეშ. გაშლილ მოედანზე. რომელსაც მხოლოდ პირობითად თუ ეწოდებოდა „სცენა“.

გასტროლები დაიწყო 14 აგვისტოს ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოთი“. მაყურებელი აღტაცებით შეხვდა სპექტაკლს. შესანიშნავად გამოიყენა „ოტელოში“ ვ. ჭაბუკიანმა სეგედის ღიძი ტაძარი, რომელიც სცენის უკან იდგა. ჭვარისწერის შემდეგ ოტელო და დეზდემონა ორდანოს ხმაზე ტაძრიდან გამოდიოდნენ, რაც მეტად ეფექტურ შთაბეჭდილებას ქმნიდა. ყოველ საღამოს წარმოდგენებს 8 ათასამდე მაყურებელი ესწრებოდა. მიუხედავად ხალხმრავლობისა. უნგრელები მეტად დაძაბული ყურადღებით უყურებლენენ წარმოდგენებს. მხოლოდ აღფრთოვანებული ტაშისცემა და მოწონების შეძახილები თუ დაარღვევდა ხოლმე ამ საერთო გარინდებას. აღტაცებული ტაშისცემა 10—15 წუთს არ წყდებოდა. — სცენა ყვავილთა თაგულებით ივსებოდა.

პირველ სპექტაკლს, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ვ. ჭაბუკიანმა, ვ. წიგნაძემ, ზ. კიკალეიშვილმა, ლ. მითაიშვილმა, გ. მონავარდისაშვილმა, ე. ჭაბუკიანმა და სხვებმა, დაესწრო საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლობა და მრავალი უცხოელი სტუმარი.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ სცენზე ავიდნენ საბჭოთა საელჩოს მუშავები. „სეგედის თამაშობათა“ ორგანზატორები, ხელოვნების სპეციალისტები, ქალაქის ხელმძღვანელი ამხანაგები, რომლებიც გულთბალად ულოცავლენ გამარჯვებას საქართველოს წარგზავნილებს. ქ. სეგედის მერმა პირადად გადაუხადა მაღლობა ქართული ხელოვნების ოსტატებს კარგი სპექტაკლისათვის. დასის პატივსაცემად მოეწყო ოფიციალური დარბაზობა, რომელსაც დაესწრო უნგრეთის

სახალხო რესპუბლიკის კულტურის მინისტრი  
პ. ილუ. მან გულწრფელი სიტყვით მიმართა  
საბალეტო კოლექტებს და აღნიშნა, რომ ქარ-  
თული ბალეტის მონაწილეობა ფესტივალში  
უნგრეთის მხატვრული ცხოვრების შესანიშნა-  
ვი მოვლენაა. მინისტრმა გულითადად მიუ-  
ლოცა დასს პირველი წარმატება.

16 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა დ. თო-  
რაძის ბალეტი „გორდა“. მონაწილეობზენ  
ვ. წიგნაძე (ირემა), ზ. კიკალეიშვილი (გორ-  
და), ლ. მითაიშვილი (ჭავარა). ვ. გუნაშვილი  
(მამია). მაყურებელი უდიდესი აღტაცებით,  
შეძახილებითა და ხანგრძლივი ტაშით ხვდე-  
ბოდა ყოველ საცეკვაო ნომერსა თუ მოქმე-  
დებას, წარმოდგენის დამთავრებისას მრა-  
ვალჭერ გამოიძახეს მსახიობები, — სცენა  
ისევ ყვავილებით ივესო.

„გორდას“ დაესწრო კულტურის მინისტრი,  
ილუ და დიპლომატური კორპუსი. უაღრე-  
სად მაღალი შეფასება მისცა უნგრეთის პრე-  
სამ „ოტელოს“ და „გორდას“, ცენტრალურ-  
მა გაზეთმა „ნეპსაბატშავის“ გამოაქვეყნა რე-  
ცენზია. რომელშიც ქვებას ასხამდა ქართული  
ხელოვნების წარმოდგენებს, მუსიკას, დადგ-  
მას, შესრულებას. მხატვრობას. „ქართული  
წარმოდგენების მხატვრული ხარისხი იმდენად  
მაღალია, — სწერდა გაზეთი „ნეპსაბატშა-  
ვი“, — რომ შეიძლება მსოფლიოს ყველა  
სცენაზე იყოს იგი ნაჩვენები.

საბალეტო დასის გასტროლები დაემთხვა  
ქართულ კულტურის, დღეებს უნგრეთში. 18  
აგვისტოს ბუდაცემში მედიჩის თეატრში  
საზეიმოთ გაიხსნა ქართული კულტურის დე-  
კადა. თეატრის უზარმაზარი დარბაზი სავსე  
იყო უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის  
საზოგადოების, მშრომელთა ინტელიგენციის  
და ახალგაზრდობის წარმომადგენლებით.  
პრეზიდიუმში, რომლის თავზედაც მისალმე-  
ბის სიტყვები ბრწყინვავდა ქართულ და უნგ-  
რულ ენებზე. იყვნენ უნგრეთ-საბჭოთა კავ-  
შირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდო-  
მარე ე. მიხაილი. საზოგადოების გენერალუ-  
რი მდივანი ი. კრიშტოფი. საქართველოს დე-  
ლეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ  
განათლების მინისტრის მოადგილე უ. ობრ-  
ლაძე. სსრ კავშირის დროებითი საქმეთა  
რწმუნებული უნგრეთში ნ. შელეხა და სხვები.

საზეიმო საღამოს დასასრულს გაიმართა  
სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც მო-  
ნაწილეობა მიიღეს ქართულმა საბალეტო

დასმა, ვოკალურ-ინსტრუმენტულმა კვალ-  
ტეტმა „ორერამ“ და ქართული ესტრადის  
მსახიობებმა.

19 აგვისტოს კვლავ „გორდა“ დაიდგა. 20  
აგვისტოს — „ოტელო“. სპექტაკლებს დირი-  
ჟორობდა საქ. სსრ სახალხო არტისტი, პრო-  
ფესორი ვ. ფალიაშვილი. 21 აგვისტოს ბუ-  
დაცემში გავლენით ქართული საბალეტო დასა  
სამშობლოში გამოემგზავრა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართული ბა-  
ლეტის უდიდესი წარმატება, რომელიც მას  
წილად ხვდა უნგრეთში. ყველა გაზეთმა  
მიუძღვნა რეცენზია. ბალეტის გამოსვ-  
ლის, რომელშიაც მაღალ შეფასებას აძლევ-  
დნენ სპექტაკლების მხატვრულ ღირსებებს  
და ქართველ მსახიობთა ღსტატობას. გაზეთი  
„მაღიარ ნემზეტი“ 18 აგვისტოს ნომერში  
ხაზს უსვამდა, რომ ბალეტი „გორდა“ ბრწინ-  
ვალედ დადგა ვ. ჭაბუკიანმა და უაღრესად  
კარგად ცეკვავლნენ სოლისტები ზ. კიკალე-  
შვილი, ლ. მითაიშვილი, ვ. წიგნაძე, ვ. გუნა-  
შვილი და სხვები.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარ-  
ტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გა-  
ზეთმა „ნეპსაბატშავი“ 19 აგვისტოს ნომერში  
სპეციალური სტატია მიუძღვნა საბჭოთა  
ქორეოგრაფიის სიამაყეს ვ. ჭაბუკიანს. „ჭაბუ-  
კიანი შესანიშნავი მხატვარია. მისი „ოტელო“  
ერთ-ერთი ბრწყინვალე მხატვრულ ქმნილება-  
თავანია“. ამავე გაზეთმა ვრცელი რეცენზიები  
გამოაქვეყნა ორივე დადგმაზე.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულ-  
ტურის, განათლებისა და მეცნიერების მინის-  
ტრი პ. ილუ განაცხადა. რომ თბილისელთა  
გასტროლებმა აამაღლა „სეგადის თამაშობა-  
თა“ მნიშვნელობა და ღირსეულად დააგირ-  
ვინა ფესტივალის ფინალი.

ქართველ შესახიობთა დიდი წარმატებები-  
სა და უხევრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრო-  
ბის განმტკიცებაში მათი წვლილის აღსანიშ-  
ნავად ჩინგრძლივი ლოქეს საოლქო საბჭოს აღ-  
მასჯომმა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მე-  
გობრობის საზოგადოების განყოფილებაში სა-  
ბალეტო დასი დააჯილდოვა უნგრეთ-საბჭოთა  
კავშირის მეგობრობის საზოგადოების სამას-  
ოობრო მედლით. რომელზედაც ოქროს გვირ-  
გვინია გამოსახული. ბალეტების „ოტელო“  
და „გორდას“ დამზადებებს გადაეცაო საზო-  
გადოების სამკერდე ნიშნები. რომელზედაც  
გამოსახულია ვერცხლის გვირგვინი. კულტუ-

რის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დას უსახსოვრა საუცხოო მხატვრული ნაკეთობა — ფაიფურის დიდი ვაზა.

გაზეთ „ნეპსაბალშაგში“ იმ ხანად გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული იყო: „საუკუნის წინად ერთმა გამოჩენილმა უნგრელმა საზოგადო მოღვაწემ თქვა, საჭიროა უნგრელებმა გაიცნონ შროეული საქართველოს თვითმყობადი კულტურაო. ეს ნატერა მხოლოდ ახლა, ჩვენს დღეებში აღსრულდა“. მართლაც, უნგრელმა ხალხმა ახლოს გაიცნოდა გულით შეიყვარა ქართული ხელოვნება.

„ოტელოსა“ და „გორდას“ წარმოდგენები სეგვდის ფესტივალზე იყო ეროვნული კლასიკური ქორეოგრაფიის დიდი გამარჯვება, რაც უნგრეთის პრესამ, იქაურმა მაყურებლებმა, ფესტივალის უცხოელმა დამსწრეებმა ერთხმად აღიარეს.

22 აგვისტოს გვიან ღამით ცისფერი ლანერი მსუბუქად დაუშვა თბილისის აეროდრომის საფრენ ბილიზე. სპეციალური თვითმფრინავით „ბუდაპეშტი — თბილისი“ ქართველი მსახიობები მშობლიურ თბილის დაუბრუნდნენ.

ოქტომბერში თბილისის ოკერის დირექტორის ა. ჩიმაკაძის სახელზე უნგრეთიდან მოვიდა წერილი, რომელშიაც სეგვდის თეატრალურ სანახაობათა დირექტორი ტორი იანოში ერთხელ კიდევ უხლიდა მადლობას ქართული ბალეტის კოლექტივს შესანიშნავი გამოსვლებისათვის სეგვდში. აი ეს წერილიც:

„პატივცემულო ამხანაგო დირექტორო! ნება მომეციო მხურვალე მადლობა გადაგიხდოთ თქვენი საჯარო გამოსვლებისათვის სეგვდში არა მარტო თქვენ. არმედ თქვენს თანამშრომლებსაც: ბალეტის მსახიობებს, სოლისტებს. ტექნიკურ ხელმძღვანელებს და ყველა სხვა დანარჩენებს.“

ჩვენთან სტუმრადმყოფ აქტიორთა შალალ დონეზე შეფასებული გამოსვლები ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა მსახიობების შესანიშნავ პროფესიონალიზმს. დიდად კვაყოფილი ვარ მათთან გაცნობით და იმედი გვაქვს, რომ თქვენი შესანიშნავი აღამიანების საშულებით უფრო ფართოდ გავიცნობთ საქართველოს კულტურას.

საბოლოოდ ნება მომეციო მოგილოცოთ და გისურვოთ წარმატებები თქვენი შესანიშნავი ნაციონალური პოეტის შოთა რუსთაველის დღეებისათვის და აგრეთვე გამოსვლები-

სათვის საფრანგეთში მხურვალე სალმით ტორი იანიში, სეგვდის თეატრალურ სანახაობათა დირექტორი. სეგვდი. 1966 წ. 14 ოქტომბერი“.

ეს წერილი კიდევ ერთი დადასტურება იყო ქართული ბალეტის წარმატებისა უნგრეთში.

სეგვდის გასტროლების შემდეგ საბალეტო დასი თეატრის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაება. ამავე დროს წინ კიდევ უფრო სერიოზული ამოცანა იდგა. დეკემბერში ბალეტის კოლექტივს მონაწილეობა უნდა მიეღო ეროვნული ბალეტების პარიზის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალში.

საფრანგეთის დედაქალაქში ყოველწლიურად ეშყობა საბალეტო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობენ მსოფლიოს საუკეთესო მოცეკვავები და სახელმოხვეჭილი საბალეტო დასები. საფრანგეთის ბალეტის საერთაშორისო ფესტივალის მუდმივი კომიტეტის გენერალურმა დირექტორმა, ელისეს მინდვრების ცნობილი თეატრის „შანზ ელიზეს“ მმართველმა საგანგებო გვუფი გამოგზავნა თბილისში, რომელიც დაესწრო ჩვენს საბალეტო სპექტაკლებს და შემდეგ მთელი დასი საფრანგეთში ბალეტის საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვია.

„შანზ ელიზე“ მეტად დიდი ტრადიციების მქონე თეატრია. იგი 2 ათასამდე მაყურებელს იტევს. გერ კიდევ რევოლუციამდე აქ წარმატებით გამოდიოდა რუსული ბალეტის შეცენტრისა და ორგანიზატორის დაგილევის საბალეტო დასი. აქვე აქცეულდა ი. სტრავინსკის შესანიშნავი ნაწარმოებები. დღეისათვისაც აქ იდგმება მნიშვნელოვანი მუსიკალური პრემიერები.

ქართული ბალეტი მეტად პასუხსაგები და მკაცრი გამოცდის წინაშე წარსდგა. მისი ხელოვნების განმსხელნი და შემფასებელნი იყვნენ მრავლისმნახველი პარიზელები. ფესტივალის მრავალრიცხვანი სტუმრები და უიური მსოფლიოს გამოჩენილ მუსიკოსთა და ქორეოგრაფიის საუკეთესო მცოდნეთა შემაღენლობით.

რეპერტუარი: „ოტელო“, „გორდა“ (დირიჟორი — ვ. ფალიაშვილი).

29 ნოემბერს „ოტელოთი“ დაიწყო პარიზის გასტროლი. სამშობლო მღელვარებით ელოდა ყოველ ცნობას პარიზიდან. „კომუ-

ნისტის“ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა საფრანგეთის დედაქალაქს. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. დვალიშვილმა. რომელიც დასს თან ახლდა, რედაქციას შემდეგი აცნობა: „ყველასათვის ცნობილია, რომ ბევრის მომსწრე პარიზელებს ვერაფრით გააკვირვებ; ამიტომ ჩვენი მსახიობები ძალზე ღელავდნენ.“

მათ გაცილებით მეტი მოწონება დაიმსახურეს „ოტელოში“. იცეკვეს ვ. ჭაბუკიანმა და თ. სანაძემ (ოტელო), ვ. წიგნაძემ და ნ. არობელიძემ (ლეზედმონა). ზ. კიკალეიშვილმა და ვ. გუნაშვილმა (იაგო), ე. ჭაბუკიანმა (ბიანკა), ბ. მონავარდისაშვილმა (კასიო) და სხვა.

წამყვანმა გაზეთებში. როგორიცაა „მონდი“, „კომპა“, „ფრანსუა“, დადგებითი რეცენზიები გამოაქვეყნეს. მხოლოდ „ფიგარომ“ გაიკრიტიკა „ოტელოს“ დადგმა. — ცეკვა ცოტაა და ბალეტი ძირითადად პანტომიმით არის გადაწყვეტილი.

კარგად მიიღეს „გორდა“ განხილვაზე და პრემიერაზეც. „არ გადავაჭარბებ, მაგრა დალიშვალი. — თუ ვიტყვი, რომ ხალხით სავსე დარბაზი „გორდას“ აღფრთოვანებით შეხვდა“. სცენაზე გამოიძახეს არა მარტო შემსრულებლები. არამედ მუსიკის ავტორიც — კომპოზიტორი დ. თორაძე. პრემიერაზე აღმვლობით იცეკვეს ბ. მონავარდისაშვილმა (გორდა). ლ. ნადარეიშვილმა (ირემა). ლ. მითაიშვილმა (ჭავარი), ვ. გუნაშვილმა (მამია). მომდევნო წარმოდგენებში მთავარ როლებში გამოვიდნენ ზ. კიკალეიშვილი, ვ. წიგნაძე, რ. მაღალაშვილი.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ აქ მოვიყვანო ზოგიერთი ფრაზები საფრანგეთის გაზეთებიდან ქართული ბალეტის გასტროლების გამო პარიზში.

მაღალ შეფასებას აძლევს ბალეტ „გორდას“ მხატვრულ ღირსებებს გაზ. „კომპას“ კრიტიკოსი. იგი აღნიშნავს, რომ ეს „ტიპიურად ქართული სცენტრკლია“ და აღფრთოვანებას გამოთქვამს სოლისტებისა და კორდე — ბალეტის ოსტატობის გამო.

ქართველი ბალერინები თავიათ პარტიებს „საოცარი სინარნარით“ ასრულებენ, რაც მაყურებლის ენთუზიაზმს იწვევს. რეცენზი განსაკუთრებით აღნიშნავს მოცეკვავეთა „ვირტუოზულ ტექნიკას, დიდ დრამატულ ოსტატობას“. „რა მსუბუქი ცეკვა, რა მოქნა-

ლობა, ტრაგედიული ცეკვის როგორი უნარი!“ წერს რეცენზენტი ლიალიანა მითაიშვილის შესახებ.

„ლუმანიტე“ აღნიშნავს ბეჭარ მონავარდისაშვილისა და ლარისა ნადარეიშვილის აქტიორულ წარმატებებს. ბალეტი „გორდა“, — წერს ავ. ბლოკი „ლუმანიტეში“ — „ბრწყინვალედ ცხადყოფს თბილისის ბალეტის ტექნიკურ ოსტატობას“.

სხვადასხვაგვარი გამოხმაურება გამოიწვია ბალეტმა „ოტელომ“. ზოგიერთი კრიტიკოსი მის პეტორს უსაყვედურებს იმას, რომ ზელმეტად არის გამოყენებული მიმიკა და პანტომიმა. სხვა თვალსაზრისის გამოთქვამს ყოველკვირეულის „ნუველ ლიტერატის“ რეცენზი, რომელიც მიესალმება ავტორთა ორიენტაციას შეუქმნათ „დიდმასშტაბიანი სახალხო სცენტრალი. რომელიც განკუთვნილია არა ერთი მუჭა სცენიალისტებისათვის, არამედ ფართო მასებისათვის... სხვაგვარი მსჯელობა სცენტრალის შესახებ შეუძლებელია“. ყოველკვირეულის აზრით, საჭიროა გაზიარებული იქნას თბილისელთა გამოცდილება სწორებელა, როცა საფრანგეთში აპირებენ ეროვნული საბალეტო კოლექტივის შექმნას.

ბალეტის მოყვარული აღტაცებული არიან ვ. ჭაბუკიანის ოსტატობით, რომელმაც ოტელოს პარტია შეასრულა. ჭაბუკიანი. რომელიც ამავე დროს „ოტელოს“ დამდგმელია. „საოცარი ძალით ცეკვას“. — წერს „ნუველ ლიტერატი“. „გამოჩენილი მსახიობი ჭაბუკიანი გვაოცებს თავისი პიროვნებით, დინამიზმით“, — წერს გაზეთი „ორორი“... — „ამ მშევნეოების ათლეტს რომ შეხედავ, რწმუნდება, რომ ცეკვა პლასტიკური სილამაზის საწინდარია“.

„ორორი“ აღნიშნავს აგრეთვე ზ. კიკალეიშვილის ოსტატობას.

პარიზში საზეიმოდ აღნიშნა შოთა რუსთაველის დაბალების 800 წლისთავი. კონცერტში, რომელიც ამ თარიღს მიერდვნა, საუკათესო ნომრებით გამოვიდნენ საქართველოს წარგზავნილები: ლ. მითაიშვილი და ვ. აბაშიძე, ბ. მონავარდისაშვილი და ნ. არობელიძე, ა. დვალი და ვ. გუნაშვილი, ი. ჭანდიერი, ე. ჭაბუკიანი, გ. ტაბახმელაშვილი, ნ. ჩახუნაშვილი და სხვები.

მათ შეასრულეს ნაწყვეტები კლასიკური და ქართული ნაწარმოებებიდან, ცალკეული ნომრები: „ქართული“ ზ. ფალიაშვილის „და-

ისიდან“, ხორუმი — ა. ბალანჩივაძის „მთების გულიდან“, სენ-სანსის „გედი“ და სხვა.

12 დეკემბერს დამთავრდა პარიზის ცეკვას მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალში, რომელმაც თითქმის ერთ თვეზე მეტ ხანს გასტანა, მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, კუბის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის საბალეტო დასკები. საბჭოთა კავშირს ფესტივალზე თბილისის ზ. ფალიშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური ოეატრის საბალეტო კოლექტივი წარმოადგენდა. მან სულ 12

სპექტაკლი გამართა, აქედან 7 „გორდა“, 5 „ოტელო“.

პარიზის ცეკვის აკადემიაშ სპეციალური პრემია — „პარიზის პრიზი“ მიანიჭია ვახტანგ ჭაბუკიანს და მთელ საბალეტო დასს.

გამოჩენილმა ფრანგმა მოცეკვაუემ და ბალეტმეისტერმა სერჲ ლიფარმა ვახტანგ ჭაბუკიანს და საბალეტო დასს მაღალი ჯილდო მიუღლცა. შემდეგ პირადად ჭაბუკიანს თავასი წიგნი გადასცა სამახსოვრო წარწერით.

13 დეკემბერს ქართული ბალეტის კოლექტივი სპეციალური თვითმფრინავით პარიზიდან თბილისში დაბრუნდა.

## ქოთი მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები მოსკოვსა და ერევანში

1966 წლის 19 ივლისიდან 5 აგვისტომდე ქ. მარჯანიშვილის სახ. შრომის წითელი ღროშის ორდენისანმა სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა გასტროლები ჩატარა ქ. მოსკოვში. ეს თეატრის მეცუთე გასტროლია მოსკოვში.

I გასტროლი შედგა 1930 წელს თვით კოტე მარჯანიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით. (რეპერტუარი: ქ. გუცკოვის „ურიელ აკადამიუ“, ე. ტოლერის „პოპლა“, ჩვენ ვცოცხლობთ“, შ. დადიანის „კაქალ გულში“, ქ. კალაძის „როგორ“ და „ხატიფე“, დ. შენგელაიას „თეთრები“, დ. ჩანანელის „ბაილი“, ლოვე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“).

მ გასტროლებით ქართული თეატრი პირველად გასცდა საქართველოს საზღვრებს. გასტროლები ჩატარდა ბრწყინვალედ.

II გასტროლი შედგა 1939 წ. (რეპერტუარი: გუცკოვის „ურიელ აკადამიუ“, ქ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, შ. დადიანის „ნაპერწელიდან“, ვ. გაბეჟსირიას „მათი ამბავი“, ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“).

III გასტროლი შედგა 1958 წ., ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დროს. (რეპერტუარი: შექსპირის „რიჩარდ III“, ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“, („გზაჯვარედინზე“), ვაჟას „მოკვეთილი“, მ. ბართაშვილის „მარინე“, ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“. თეატრი დაგრძლივებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

IV გასტროლი შედგა 1962 წ. (რეპერტუარი: ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“, ევრიპიდეს „მედეა“, შექსპირის „როგორ და ჭულება“, ნ. პერიალიძის „ბაფთიანი გოგონა“, ვ. კანდელაჯის „მაია წყნეთელი“, მ. ბარათაშვილის „მარინე“).

გაიარა ოთხმა წელმა და თეატრი კვლავ წარსდგა მოსკოველი მაყურებლის წინაშე. იღსანიშნავია, რომ ზედიზედ მესამედ, თეატრის გასტროლები ჩატარდა მცირე თეატრში,

რომელთანაც ორი ნათელი სახელი გვაკავშირებს: მცირე თეატრს მიუძღვნა მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე ჩვენმა თანმემამულემ აღ. სუმბათაშვილმა-იუჟინმა, და ესვე გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები დიდმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა, რომელიც ფ. შილერის „დონ-კარლოსის“ დაღგმაზე მუშაობდა.

თეატრის წინაშე მეტად საპასუხისმგებლია ამოცანა იღვა: უნდა შეგვენარჩუნებინა და უფრო გაგვემტკიცებინა ის შემოქმედებითი ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული, რომელიც თეატრმა წინა გასტროლებით დაიმსახურა. დრო კი მეტად არახელსაყრელი იყო გასტროლებისათვის: მოსკოვის უკავლიანობის სეზონი დახურული ჰქონდა, ცხელოდა, თეატრალური ინტელიგენცია დასასვენებლად იყო წასული, ზოგიც — საგასტროლოდ.

გარდა ამისა მიმღინარეობდა მსოფლიოს პირველობა ფეხბურთში და მთელი მოსკოვი გულშემატკიცართა „ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი. მოსკოვში მუშაობდა არამღენიმე გასტროლიორი თეატრი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

ყოველივე ეს გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნიდა ჩვენი გასტროლების სათანადო შემოქმედებითს დონეზე ჩატარებას.

საგასტროლო რეპერტუარში თეატრმა შეიტანა ბოლო სეზონების საუკეთესო ნამუშევრები: ა. სუმბათაშვილის „დალატი“, ნ. ღუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მებებია, ილიკო და ილარიონი“ (განმეორებით — მოსკოველი კოლეგების ჩჩევით) და „მე ვებდავ მზეს“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღლარ ნახავ“, ქ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“, გ. სუხაშვილის „გზები“, უან ანუის „უანა დარკი“ („ტოროლა“) და ა. კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან“.

საკავშირო პრესამ საუკეთესო შეფასება მისცა თეატრის სექტანტლებს. ამას მოწმობს უურნალ-გაზეთებში მოთავსებული სარეცეპტო წერილების მარტო სათაურებიც კი:

«Радостные итоги — («Вечерняя Москва»), «Пора творческой зрелости» — («Советская культура») «Пламенная простота («Театральная жизнь»), «Созвездие талантов» — («Известия») და სხვა. გვევინობოთ ჩამდებიდ ამონებურს:

«Мы благодарны театру им. Мардзанишвили за интересный спектакль. За возвращение на сцену малого театра пьесы его многолетнего руководителя Сумбатова-Южина...

Зейнаб — Анджапаридзе — Это титанически могучая духом, мудрая и великая страдающая мать своей родины... так велика внутренняя наполненность актрисы, что нам достаточно одного ее взгляда, легкого поворота головы, чтобы понять, какая буря бушует под внешнейдержанностью. На том же уровне находится и исполнение В. Годзиашвили комедийной роли слуги Бесо. С каждым появлением Бесо стихия народного, национального, комедийного заполняет сцену...

Т. Князевская («Советская Культура» 6 авг. 1966 г.)

«Очень тонко ведет роль Анания глахи А. Омиадзе... Когда мы узнаем, что Анания — этот умный, с виду спокойный человек — некогда пожертвовал во имя родины маленьким сыном, мы говорим: да, артист убедил нас в том, что перед нами — истинный герой.

А. Февральский («Заря Востока» 16/VIII-66 г.).

„რამდენი ბრწყინვალე ნამუშევარია სპექტაკლი „მე. ბებია, ილიკო და ილარიონი“; დაუსრულებლად შეიძლება აღტაცებული იურ გულკეთილი, მოფუსფუსე ბებიათი, რომელსაც ს. თაურიშვილი ასრულებს უბადლო გულწრფელობითა და უბრალოებით. ხოლო რადღირს ა. უორულიანის ილიკოსა და გრ. კოსტავის ილარიონის ბრწყინვალე კორდიური დუტები. ახლა ლ. ანთაძის უშუალო და ბაჟ-შვერად სპეტაკი ზურიკო! და ეს მხოლოდ მთავარი გმირებია! მერე რამდენია ეს ეპიზოდური გმირები სკოლის. ვაგონის სცენებში. — რამდენი როლიც არის. იმდენი წარმატება. ყოველი ეპიზოდი საკონცერტო ნომერია“...

ნ. ბალაშვილი („კომუნისტი“ 11/VIII-66 წელი).

— В зреюще ярком, открыто театральном, полновзвучном «Мече Карабери» — счастливо сочеталось умение режиссера Г. Лорткипанидзе постигнуть самый дух литературного произведения и выразить его в формах, наиболее полно раскрывающих авторский замысел, с отличным актерским ансамблем, тонко чувствующим стилистику пьесы и режиссерскую мысль».

Т. Князевская.

«Рядом с ярким, темпераментным, почти буффонадным рисунком Т. Мансурладзе (Вахтанг — хан) — приглушенная, но глубокая ирония В. Нинуа, блестяще игравшего лежебоку Госташаба, и высокий драматизм Медеи Джапаридзе (Гулкана) не кажутся чужими, разностильными.

Н. Исмаилова — «Испытание гармонией» («Известия» 23/VIII-66 г.).

«Главное, можем ли мы утвердительно ответить на весьма существенный вопрос: создан театром свой, неповторимый образ спектакля? Найдено ли то художественное решение, которое позволит этому спектаклю оставаться в памяти тех, кто его видел? — Да, можем мы ответить утвердительно, — образ спектакля создан. Образ, значительный по мысли, масштабный, современный».

Д. Орлов — «Дороги Саба Урнели» («Советская культура» 26/VII-1966 г.).

«В восьмом спектакле «Иные нынче времена», в котором актеры играют и танцуют с заразительным юмором и легкостью, виделяется фигура Аветика; необычайно живые, выразительные глаза В. Годзиашвили говорят едва ли не больше, чем слова».

А. Февральский.

„სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“ მოგვითხოვს ადამიანთა მძაცვობასა და სიმტკიცეზე. მათს სულიერ ხენათლება და ურთიერთობის სისპეტაკეზე. მოგვითხოვს უბრალოდ. თავ-შეუკავებლად, უხმაუროდ“.

ნ. ბალაშვილი.

«Превосходно играют М. Джапаридзе, А. Омиадзе, Т. Арчвадзе, И. Трипольский в спектакле «Деревья умирают стоя». Тем, что спектакль сохраняется в репертуаре уже почти 10 лет, он обязан и своей высо-

кой сценической культуре и, прежде всего, В. Анджапаридзе — исполнительнице роли бабушки. Сколько изумительных оттенков в ее игре! Это подлинно великая актриса. Она давно завоевала признание и любовь московских зрителей, которые видят в ней крупнейшую трагическую актрису советского союза».

А. Февральский.

«Режиссура Л. Мирцхулава несколько  
рационалистична, зато спектаклю не отка-  
жет в цельности и строгости, в философ-  
ской насыщенности. Роль Шаны с успе-  
хом играет молодая актриса театра С. Чиа-  
урели».

Н. Исмаилова.

30 ივლისს რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო მარჯანიშვილის სცენეტიკულების განხილვა. განხილვა გახსნა უურნალ «Театр»-ის რედაქტორმა ი. რიბაუოვმა. მან აღნიშნა, რომ მარჯანიშვილის თეატრის სტუმრობა მოსკოვში სასიამოვნო და მისასალმებელი მოვლენაა, მიულოცა თეატრის კოლექტივს გასტროლების წარმატებით მიმდინარეობა და სიტყვა მისცა ხელოვნებათმცოდნების დოქტორს ა. ანიკატს. რომელმაც ოქვა: პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „კახაბერის ხმალმა“. პიესა დაწერილია შესანიშნავად. ჩეფისორმა გ. ლორთქიფანიძემ კარგად გადმოგვცა პიესის იდეა, მისი მდაფრიირობია, მას შესაფერი ფორმა მოუქებნა. ძალიან მომეწონა მხატვარ მ. მალაზონიას ნამუშევარი. ურემა ბრეხტის „დედა კურაუ“ მომავონა, მაგრამ აღმაფრთოვანა მისმა თავისებურმა გამოყენებამ: — ჩვენს თვალწინურემი ხან ქოხად გადაიქცევა. ხან სასახლედ, ხან კიდევ ციხე-სიმაგრედ. შესანიშნავია ნიღბები. ბრწყინვალეა მსახიობური ანსამბლი. ეს სცენეტიკული თეატრის შემოქმედებითი სიმწიფის მაჩვინებელია.

ა. კასონას „ხევები ზეზეურად კვლებიან“ არ წარმოადგენს დიდი იდეურ-მხატვრული ლირებულების მქონე პიესას. მაგრამ მსახიობები გამოიჩინებიან თავიანთი ოსტატობით. სპექტაკლის გულია ვ. ანჭავარიძე. რომელიც მეტად სათუთად, ფაქტზეად გვიხსატავს ბებიას სულიერ სამყაროს, მის ჰეროიკულ ბუნებას. დიდი სიმართლით ასრულებს სენიორ ბალბოს როლს ა. ომიაძე, იგი ისეა შერწყმული როლთან, რომ ვერ იწყვი, მსახიობი თავიშობსო.

მეტად სასიამოვნო და მომხიბულებია მ. ჭავარიძის მართა. კარგია თ. აჩჩივაძის ღირევულობა. დიდი ასტურებით ასრულებს ი. ტრიპოლის ქაურისიონს.

დასასრულს ა. ანიკსტმა აღნიშნა, რომ გარე-  
ჯანიშვილის თეატრი ყოველთვის იდგა საბ-  
ჭოთა თეატრების პირველ რიგში და ტრადი-  
ციას აქლაც წარმატებით აგრძელებს.

სიტყვა ეძლევა მხატვარ მ. კურილების: ქართული თეატრალური მხატვრობა ყოველ-თვის მხიბლავდა. ოქვენს ჩეპერტუარში ბეჭ-რი კარგი და საყურადღებო ნამუშევარია. მო-მეწონა თ. ლითანიშვილის გაფორმება სპექ-ტაკლისა „რაც გინახავს. ვეღარ ნახავ“, მხატ-ვრობა უბრალოდ, უპრეტეზით არის გადა-წყვეტილი. თავისი კოლორიტით. სტილით შე-სანიშნავია კოსტუმები. საინტერესო მხატვა-რია მ. მალაზონია. მომწონს მისი ძუნწი, ლა-კონური, მაგრამ მრავლის მეტყველი მანერა. ოქვენი თეატრის ძალაა ჩეკვასორის, მხატვრი-სა და მსახიობის შემოქმედებითი ერთიანობა, რაც ბევრ სპექტაკლში იგრძნობა.

ჩემი სიყვარული თქვენი თეატრის მიმართ  
ყველასათვის ცნობილია. — თქვა კრიტიკოს-  
მა ნ. კრიმოვამ. — თქვენმა შესანიშნავმა ვე-  
რიკომ. ვასომ, სესილია თაყაიშვილმა, გ. შავ-  
გულიძემ. — ვ. ყუშიტაშვილის „რიჩარდ III“  
და სხვებმა ბევრი ბედნიერი წუთები განმაც-  
დევინებს. წელს განსაკუთრებით გამახარა სპექ-  
ტაკლების „რაც გინახავს, ვეღარ ნახა“ და  
„კახაბერის ხმალი“—ს გამარჯვებამ, მაგრამ  
სად არის ახალი გვაჩები? სად არიან ახალი შე-  
მომქმედები? როდემდის გინდათ მოიპოვოთ  
გმარჯვება ძველი. ნაცადი გვარდის წყალო-  
ბით? — ამ საკითხს თეატრის ხელმძღვანელო-  
ბა ლრმათ უნდა ჩატაჭრდეს.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ა. ანასტასიევი მმზადებს: — ალბათ შეამჩნიერ, რომ თქვენს სპექტაკლებს რამდენჯერმე და-ესწრო სახელგანთქმული მომღერალი ი. კოზ-ლოვსკი, რაც იშვიათი მოვლენაა. როცა ერთ-ერთ ანტრაქტზე ამის შესახებ ვკითხე, მან მა-ჰასუხა: „თუ კარგად არ იცნობთ ქართულ ხე-ლოვნებას, არ გექნებათ მთლიანი შთაბეჭდი-ლება საბჭოთა ხელოვნებაზე საერთოდ“. მე მომზიბლა ვ. გოძიაშვილისა და ე. ომაძეს ცხოვრებისეულმა სიმართლემ და ვ. ანჯაფა-რიძის ჭეშმარიტმა რომანტიკულობამ „ღა-ლატში“. სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“ შე-

მიყვარდა ლამაზი, ჯანსაღი სულის ადამიანები.

დასასრულს ი. რიბაკოვმა ოქვა: მსჯელობა საინტერესო და სასარგებლო იყო, მარჯანიშვილის თეატრმა კარგი რეპერტუარი ჩამოატანა მოსკოვში. განსაკუთრებით მინდა ავლიშვილი გ. ხუხაშვილის „გზები“, რომელიც მასასალმებელ მოვლენად მიმაჩნია. ეს სპექტაკლი თეატრის უდავო წარმატებაა. ძალიან კარგია შემსრულებელთა მთელი ანსამბლი, განსაკუთრებით კი .ჭ. ლაფერაძე (საბა) და ვ. ნინუა (ბაბა).

ი. რიბაკოვმა თეატრს უსურვა დიდი შემოქმედებითი გამარჯვებები და მაღლობა გადაუხადა კარგი სპექტაკლებისათვის.

პრესისა და მაყურებლის საერთო შეფასება გამოხატა თეატრმცოდნე ნ. ბალაშივაძე გაზეთ „კომუნისტისათვის“ სპეციალურად დაწერილ სტატიაში:

„დიახ, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, აქტორული ტალანტების ბრწყინვალე თანავარსკვლავედია, და ამ შესანიშნავ ოსტატებთან ახალი შეხვედრა დიდხანს დაგვრჩება მეხსიერებაში.

მაღლობელი ვართ თეატრისა მისი მხატვრული პალიტრის მრავალფეროვნებისათვის, მისი უკენობი ახალგაზრდობისა და ხალისისათვის; მისი მუდმივი ძიებისა და მუდმივი წინსვლისათვის.“

ორი სპექტაკლი — „ღალატი“ და „მე ვერდავ მზეს“ — გადასცა საკავშირო ტელევიზიამ.

სსრკ კულტურის მინისტრის ამს. ე. ფურცევას ბრძანებით გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის თეატრის მთელ კოლექტივს გამოეცხადა მაღლობა.

„მეგობრობის გასტროლები“, — ასე უწოდა სომხურმა პრესამ გასტროლებს, რომელიც კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი ღრუშის ორდენისანმა სახელმწიფო დადემიურმა თეატრმა ჩატარა მოძმე სომხეთის დედაქალაქ ერევანში ა. წ. 21 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ქართველო ძმებო! ვლოცავ იმ წუთს, როცა თქვენ ფეხი შემოდგით სომხეთის მიწაწყალზე, ჩემი სახლი — თქვენი სახლია“ — ამ სიტყვებით შემოგვეგბა გამოჩენილი სომეხი მსახიობი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი, ერევანის

გ. სუნდუკიანის სახ. თეატრის დირექტორა გ. ჯანიბეკიანი.

ასეთი დამოკიდებულება იგრძნობოდა ჩვენდამი მთელი ჩვენი გასტროლების პერიოდში, ყველგან და ყოველთვის, თეატრში თუ სასტუმროში, შემოქმედებასა თუ ცხოვრებაში!

სწორედ ეს მეგობრობა გვავალებდა დიდი პასუხისმგებლობით მოვკიდებოდით ჩვენს გასტროლებს, მით უმეტეს, რომ ფაქტიურად ეს იყო ქართული თეატრის პირველი გასტროლები სომხეთის რესპუბლიკაში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ სპექტაკლს „მარინეს“, რომელიც ჩვენმა თეატრმა ითმაშა ერევანში 1958 წ. „ამიერკავკასიის თეატრალურ გაზაფხულზე“ და რუსთაველის თეატრის სპექტაკლს „მეფე ლიოს“). გარდა ამისა, ყურადსალები იყო სხვა გარემოებაც: ერევანის მაყურებელი საკმაოდ განებიცერებულია (ამ სიტყვის კარგი გაეცით), წელს მანნახა მცირე თეატრის, „სოვერმენიის“, ვახტანგოვის სახ. თეატრის გასტროლები.

ჩვენს გასტროლებთან ერთად კი საოპერო თეატრში მიმღინარეობდა პირველი სრულიად საკავშირო ფესტივალი „საბჭოთა ბალეტის ახალგაზრდობა“ და, რაც მთავარია, თვით ერევნელებს აქვთ შესანიშნავი ეროვნული თეატრი, რომელიც ძალიან უყვართ და დიდ პატივს ცემენ. ჩვენ გაღელვებდა ისიც, რომ თეატრი ჭერ კიდევ არ არის რადიოფიცირებული და მიუხედად იმისა, რომ ერევანში, და საერთოდ, სასომხეთში, ბევრმა იცის ქართული ენა, მაიც გაგვიყირდებოდა მაყურებელთან სათანადო ქონტაქტის დამყარება. როგორ გაართვა თავი მარჯანიშვილის თეატრმა ამ საქმოდ რთულ მმოცველობა? აი, რამდენიმე ამონაშერი სომხურ გაზეთებიდან:

„ეხლა, როცა მარჯანიშვილებთა გასტროლები დასრულდა, თამაბად შეიძლება ითქვას, რომ მათ არა მარტო ღირსეულად ჩაბარეს გამოცდა, არამედ სომეხი მაყურებლის მხურვალე სიყვარულიც მოიპოვეს. მარჯანიშვილის თეატრმა მაყურებელი მოხიბლა თავისი ნათელი და ხალისიანი ხელოვნებით, მაღალი პროფესიონალიზმით და ახალგაზრდული შემართებით, რომელიც ყოველ ახალგაზრდულ თეატრს შეშურდებოდა“.

სწერდა ს. ბარსელიანი (გაზეთი „სოვეტაკან აიასტანი“).

„მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებში



მოხიბლეს ერევნელი მაყურებელი“.—გ. ყაფანიანი (გაზ. „კომუნისტი“).

მარჯანიშვილის სახ. თეატრი ერევანში ჩამოვიდა მდიდარი რეპერტუარით. კოლექტივი გამოიჩინა მაღალი თეატრალური კულტურით, ვაჟკაცური უბრალოებითა და სიმართლით. ზომიერების ფაქიზი გრძნობით და სამო მუსიკალობით. — ყოველივე ეს უაღრესად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს“.

სილვა პოტეანი (გაზ. „კომსომლეცი“).

„მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები ზიდნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში; ყოველ სპექტაკლს ახალი სიხარული მოაქვს მაყურებლისათვის“ — სთევა სომხეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. კაზარიანმა.

მოკლედ ჩვენი რეპერტუარის შესახებ: მარჯანიშვილის თეატრმა საგასტროლოდ ჩაიტანა თავისი „საბრძოლო რეპერტუარი“: ა. სუმბათაშვილის „დალატი“, ა. ცაგარლის „რაც გინახას, გელარ ნახავ“, პ. კაკაბაძის „ქახაბერის ხმალი“, ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქითანიძის „მე, ბებია. ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“, უან ანუის „უანა დარკი“ და ა. კასონს „ხეები ზეზეურად კვლებიან“.

ალ. სუმბათაშვილის ცნობილი ღრამა — ლეგენდას „დალატი“ სომხურ თეატრში თავისი ტრადიცია აქვს, ამ პიესას წარმატებით განახორციელებდნენ სომხეთის გამოჩენილი მსახიობები აბელიანი, სეირანუში, მაისურიანი, გულაზიანი და სხვა.

ერევნელი მაყურებელი მოაჯადოვა ვ. ანგაფარიძის (ზეინაბი) ტრალიკულმა ფიგურამ. გ. გომიაშვილის (ბესო) გარდასახვის საოცარმა უნარმა, ა. ომიაძის (ანანია) ვაჟკაცურმა შემართებამ. ქება დაიმსახურეს ტ. საყვარელიძემ (ოთარ ბეგი), ლ. ყიფშიძემ (რუქაა), ი. ტრიპოლსკიმ (სოლერმანი) ქ. კიკნაძემ (გაიანე) და სხვა. სპექტაკლის დასასრულს მაყურებელი იმდენ ხანს უკრავდა ტაშს, რომ ვ. ანგაფარიძეს მოუხდა სამადლობელი სიტყვის თქმა.

მაღალი შეფასება მიიღო პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალმა“, გ. ლორთქითანიძის ორაგინალურმა რეჟისორულმა ჩანაფიქრმა, შესანიშნავმა ფორმამ, რომელიც მან გამოუძენა სპექტაკლს მხატვართან (მ. მაღაზონია) ერთად, მსახიობთა ანსამბლმა, განსაკუთრებით:

მ. ჯაფარიძის გულქანმა, ვ. ნინუას გოსტაშაბმა. ი. მაისურაძის ბახტანგიხინმა, ლ. ანთაძის ლიპარიტებ და სხვა. სპექტაკლმა მეტად დინამიურად და მაღალ შემოქმედებით დონეზე ჩაიარა და გადაიცა სომხეთის ტელევიზიით.

ნ. დუმბაძის და გ. ლორთქითანიძის კეთილმა, სათნო და საყვარელმა ბებიამ ტრიუმფალურად მოიარა მრავალი სცენა. ერევნელმა მაყურებელმა გულწრფელად შეიყვარა მსახიობ-შემსრულებელთა შესანიშნავი ანსამბლი, განსაკუთრებით კი ს. თაყაიშვილის ბებია, ლ. ანთაძის ზურიკელა, გრ. კოსტავას ილარიონი და ვ. ნინუას ილიკო.

ქართველი ხალხის ვაჟკაცურბასა და კეთილშობილებაზე, მის ფაქიზ სულზე შთამბეჭდავად და დამაკერებლად უამბეს ერევნელ მაყურებელს კ. ამაღლობელის სოსოიამ, ქ. კიქნაძის ხატიამ და ზ. ლაფერაძის ბეჭანამ — სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“, რომელმაც ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

ვ. ანგაფარიძის ბებიას („ხეები ზეზეურად კვლებიან“) უკვე იცნობდნენ ერევნელები, ამ ორიოდე წლის წინათ ვერიკომ მონაწილეობა მიიღო მათ სპექტაკლში; ამჟამად კი იგი წარსდგა თავისივე დაღმული წარმოლდებით და თავისი ღირსეული პარტნიორებით: მ. ჯაფარიძე — მართა. ა. ომიაძე — ბალბაო. თ. არჩევაძე — დირექტორი და ი. ტრიპოლსკი — მაურისიო. მაყურებელთა გულისითქმა გმოხატა სომეხმა „ბებიამ“ — გამოჩენილმა მსახიობმა ოლღა გულაზიანმა. რომელიც შემოვიდა კულისებში და ასე მიმართა ვ. ანგაფარიძეს: ვერიკოჯან, რა ბეღნიერებაა შენი სცენაზე ხილვა!

სპექტაკლში „უანა დარკი“ მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურა ს. ჭიათურელის შთაგონებულმა თამაშმა, კარგმა მსახიობურმა ანსამბლმა, რეჟისორული გადაწყვეტის სიახლეები (ლ. მირცხულავა), მხატვარ გ. გუნას ნამუშევარმა.

ჩვენ ვგრძნობდით, რომ სპექტაკლს „რაც გინახას, ველარ ნახავ“ ინტერესით მიიღებდა ერევნელი მაყურებელი, რომლისთვისაც ახლო და მშობლიურია ძველი თბილისის მოქალაქე ავეტიკა (სომხეთში კარგად იცნობენ ა. ცაგარლის პიესებს), მაგრამ მაყურებელთან უშუალო ურთიერთობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მთელი სპექტაკლის განმავლობაში დარბაზიდან ისმოდა გულიანი ხარხარი და შეძახილები: „იცოცხლე, გაგი-

მარჯოს, ვაშა, მადლობა!“ მსახიობთა გამოძახებას ბოლო აღარ უჩანდა, მაყურებელს აღარ უნდოდა მათი გაშვება სცენიდან. რა თქმა უნდა, ეს აღფრთვანება. პირველ ყოვლისა, ეკუთვნოდა ავეტიკას როლის ბრწყინვალე შემსრულებელს ვასო გოძიაშვილს. სპექტაკლი მაყურებლისა და მსახიობის ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

რესპუბლიკური გაზეთები „სოვეტაკან აიასტანი“, „კომუნისტი“, „ავანგარდი“ და „ერევოიან ერევანი“ სისტემატურად ბეჭდავდნენ რეცენზიებს ჩვენი სპექტაკლების შესახებ. გამოჩენილი სომეხი მსახიობები სსრკ სახალხო არტისტები ვაჲრამ ფაფაზიანი და ავეტ ავეტისიანი, რესპ. სახ. არტისტები ო. გულზიანი, ე. დურიან-არმენიანი, გ. ჯანიბეკიანი, ბ. ნერსესიანი და სხვ., როგორც პრესაში, ისე პირად შეხვედრებში გამოსთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას ჩვენი სპექტაკლებით და მსახიობებით, თავიანთ სიყვარულს საქართველოსა და ქართველი ხალხისამი, პატივისცემით ივნებდნენ ქართული თეატრის სახელოვან მოღვაწეებს.

20 ნოემბერს ერევნის მისადგომებთან მარჯანიშვილის სახ. თეატრს ხელგაშლილი შემოეგება გ. სუნდუკიანის სახ. თეატრის მთელი დასი, 27 ნოემბერს კი თვით მარჯანიშვილის სახ. თეატრმა გაისტუმრა ისინი ისრიაში, ქართველურად გააცილა და გზა დაულოცა.

30 ნოემბერს გაზეთ „სოვეტაკან აიასტანის“ რედაქციამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო მარჯანიშვილის თეატრის მუშაკებს.

სომხეთის თეატრალურმა საზოგადოებამ ერევნის მსახიობთა სახლში მოაწყო საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. რომელსაც დაესწრენ სომხეთის დედაქალაქის თეატრალური მოღვაწენი, მწერლები, კრიტიკოსები, მარჯანიშვილის თეატრის მთელი კოლექტივი.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სომხეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა ნერსეს ვაჲრამანოვმა, რომელმაც მიულოცა თეატრს ტრიუმფალური გამარჯვება და მოხსენებისათვის „მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების შესახებ“. სიტყვა მისცა სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახ. მოღვაწეს, ცნობილ კრიტიკოსს სურენ არუთინიანს. მან დეტალურად გაარჩია თეატრის სპექტაკლები და თქვა: მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებზე ბევრი რამ

ითქვა, ბევრი რამ დაიწერა, მე გამოვყოფ რამდენიმე მთავარ მოქმედს:

1. მარჯანიშვილის თეატრი; პირველ ყოვლისა, არის მსახიობის თეატრი. თეატრის სპექტაკლების ძალა მათ ანსამბლურობაშია, ყოველი მონაწილე თავის ადგილზეა. მე კრიტიკოსის „დაწყევლილი“ და „ბოროტი“ თვალით ვუყურებდი ყოველ თქვენს წარმოდგენას, მსურა „გამომეჭირა“ თქვენი ნაკლოვანი მხარეები და მიხარიან, რომ შემიძლია გულწრფელად გითხრათ — მე ასეთი რამ ვერ ვიძოვვე.

2. მარჯანიშვილის თეატრის ძირითადი თემა არის უბრალო ადამიანი, მისი გამარჯვება თუ დამარცხება, მისი კარგი თუ ავი, მისი სულიერი სამყარო, მისი ფსიქიკის კუნძულებში ჩახედვა, ყოველი ნიუანსის მართლად და დამაჯერებლად გაღმოცემა — ამაშია თეატრის ძალა.

3. მარჯანიშვილის თეატრის ყოველი სპექტაკლის მიზანია მისცეს სულიერი საზრდო მყურებელს, შთაბეროს მას ცხოვრების ხალისი, აღუძრას კეთილშობილური მისწრაფებანი. მე ყოველი სპექტაკლის შემდეგ კარგ გუნებაზე მივდიოდი თეატრიდან, მიხარიადა, რომ ვნახე კარგი ადამიანები, რომელთაც უყვარო ცხოვრება, უყვართ ადამიანი, სულგრძელნი და კეთილშობილნი არიან.

ყოველივე ეს ნათლად მოწმობს, რომ თეატრი წმინდად ინახავს მისი დამარსებლის, დიდი საბჭოთა რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითს პრინციპებს. მის შემოქმედებითს კრედოს.

მარჯანიშვილის თეატრი არის სიცოცხლის დამკვიდრებელი თეატრი.

ამაშია მისი ღირსება და ძლიერება!

შემდეგ სიტყვა ითხოვა სსრკ სახალხო მხატვარმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა მარტიანოს სარიანმა, რომელმაც დიდი სიყვარულით მოიგონა კოტე მარჯანიშვილი, მასთან დაუკიდებარი შეხედრები, და გამარჯვება მიულოცა მისი სახელობის თეატრს.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კრიტიკოსებმა ს. ბარსელიანმა, ლ. სამველიანმა, მხატვარმა გ. სარქისიანმა, რომელთაც მაღალი შეფასება მისცეს თეატრის სპექტაკლებს, მის მაღალნიჭიერ მსახიობთა კოლექტივს. ქართული თეატრის სახელით გამოვიდნენ ვ. ანგაუარიძე, მ. ჯაფარიძე, თეატრმცოდნების ე. გუგუშვილი და ნ. შალუტაშვილი. დასას-

რულს თეატრის დირექტორმა და მხატვრულ-  
მა ხელმძღვანელმა გ. ლორთქიფანიძემ მაღ-  
ლობა გადაუხადა სომხეთის რესპუბლიკის  
ხელმძღვანელებს, თეატრალურ საზოგადოე-  
ბას, ერევნელ მაყურებლებს ძმური, გულაბი-  
ლი მიღებისათვის.

ქართული და სომხური თეატრების ურთი-  
ერთმეგობრობისა და კულტურული კავშირის  
განმტკიცების მიზნით გადაწყდა, რომ გ. სუნ-  
დუკიანის სახ. თეატრის მთ. რეჟისორი ვ. აჯე-  
მიანი ჩვენს თეატრში დადგამს ცნობილი სო-  
მეხი მწერლის ა. პარონიანის კომედიას „ძაა

ბაღდასარი“ (მთავარ როლში — ვასო გოძია-  
შვილი), ხოლო გ. ლორთქიფანიძე მიშეულა  
ერევნის თეატრში „მე, ბებია, იღიკო და იღა-  
როონის“ დასადგმელად.

გასტროლების მაღალიდეურად და მხატვ-  
რულად ჩატარებისათვის, მაღალი საშემსრუ-  
ლებლო. ოსტატობისათვის მარჯანიშვილის სარ.  
თეატრი დაწილდოვებულია სომხეთის სსრ  
უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები  
ერევანში გადაიქცა მეგობრობის გასტროლე-  
ბად. ქართველი და სომეხი ხალხის ძმობისა  
და მეგობრობის მკაფიო გამოხატულებად.

1966 წლის 24 დეკემბერს საქართველოს დარტულის „სამინისტრომ. საქართველოს თეატრალურა საზოგადოებაშ და ი. ჭავჭავაძეს აქცეულობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის დამსახურების რესპ. სახ. არტისტის იუსუფ კობაძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სიუბილეო საღამო.

საიუბილეო საღამო გახსნა აჭარის ასრულობის მინისტრმა ლ. ბოლქვაძემ, მოხსენება — „იუსუფ კობალაძის ცხოვრება და შემოქმედება“ გაცემა შ. ჭურაძემ.

— იუსუფ კობალაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია განუყრელადაა დაკავშირებული ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან. — თქვა მან. — სადაც იგი უკვე ოცდა-ათი წელიწადია მოღვაწეობს. მაგრამ აქტიორული ხელოვნების საიდუმლოებას ი. კობალაძე დაუუფლა რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიაში დიდი ქართველი რეასორტის სანდრო ახმეტელის უშუალო ხელმძღვანელობით. ალბათ, მნიშვნელოვანწილად ამითაც აიხსნება გმირულ-ტრაგიკული ხასიათებისადმი მისი განსაკუთრებული სიყვარული და ჰეროიკული თეატრის თაყვანისცემა. მას იტაცებს ყოველივე გმირული. ტრაგიკული ამაღლებული, როდესაც მთელი თავისი სიდიალით წარმოგვიდგება ადამიანის სულიერი სამყაროს სილამაზე და სიმდიდრე.

რა თქმა უნდა, ი. კობალაძის გატაცება ჰეროიზმითა და ტრაგიზმით. მარტო თეატრალური სკოლის გავლენის შედეგი არ არის. აქ უკანასკნელი სიტყვა როდი ეკუთვნის თვით მსახიობის ინდივიდუალობას, პირად მიღრეკილებას და ბუნებრივ მონაცემებს. ქართული თეატრის ამაგდარი შალვა დადაიანი წერდა: „იუსუფ კობალაძე ტრაგედის დიდ არტისტად მიმაჩნია. ამისათვის მას გარეენული მონაცემებიც აქვთ: — სხეულის ახოვანება, პირისახის სათანადო მიმიკა, ხმის სამუშარი ბარიტონული ტემბრი. ხოლო, რაც მთავარია, მას აქვს შინაგანი განცდის გადმოცემის მომსიბვლელი უნარი. ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ: „დიდი ღმერთის საკურთხევლის მას უღვივის ცეცხლი გულში“. ეს „დიდი

ღმერთი“ მისთვის ტრაგედიის უანრია“.

ასეც არის. მისი „დიდი ღმერთი“ მართლაც ტრაგედია. მზიდარმა ბუნებრივმა მოწარემებმა და საუცხოო თეატრალურმა სკოლამ ი. კობალაძეს საშუალება მისცა სინაზღვილედ ექცია თავისი სანუკვარი ოცნება — გამხდარიყო ტრაგიკოსი. ჩამოყალიბებულიყო ტრაგედიის დიდოსტატად. ქართულ თეატრში მან პაზე მეტი როლი შეასრულა, რომელთაგან დიდი უმრავლესობა გმირულ-ტრაგულია. მაყურებლებს ახლაც ახსოვთ მისი ბრწყინვალე გოჩა („ხევისბერი გოჩა“). ბახა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“) ბაგრატიონი (ა. შერგვაშიძის „მხედართმთავარი ბაგრატიონი“). კორადო (კ. ჯაკომეტის „დამნაშავის ოჯახი“) და ბევრი სხვა. მაგრამ ყველა ისინა დაჩრდილების თვით ი. კობალაძის ისეთმა ტრაგულმა სახეებმა, როგორიცაა ოიდიპოსი. ოტელო და მინდია. სამივე ეს მხატვრული სახე არა მარტო მსახიობის. არამედ მთელი ქართული თეატრალური ხელოვნების თვალსაჩანო მიღწევაა.

დასასრულს მომხსენებელმა თქვა:

— დიდ შემოქმედებითს მოღვაწეობასთავ ერთად ი. კობალაძე ეტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრი. ბათუმის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრი. ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისავისი ი. კობალაძე დაგილდოვებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, საპატიო სიგელებით.

ვუსურვოთ ღვაწლმოსილ აქტიორს ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებანი ქართული საბჭოთა თეატრის, ჩვენი გმირი ხალხის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს საღიღებლად და საკეთოლდღეოდ.

იუბილარს მიესალმა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე აკ. დვალიშვილი

ლი და გადასცა მას კულტურის სამინისტროს  
სიგელი.

მისამალმებელი სიტყვები წარმოთქვეს:  
საქართველოს თეატრალური საზოგადოების  
პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რესპ. სახ. არ-  
ტისტმა დ. ანთაძემ, სსრკ სახ. არტისტებმა  
ვ. გოძიაშვილმა და აკ. ვასაძემ, რესპ. სახ.  
არტისტმა არ. ჩხარტიშვილმა და გორის თეატრის

რის სახელით რესპ. დამსახ. არტისტმა აღ. კა-  
ლანდარაშვილმა. აჭარის ასსრ მწერალთა კავ-  
შირის თავმჯდომარემ მწერალმა ფრ. ხალ-  
ვაშმა იუბილარის გადასცა აჭარის ასსრ კულ-  
ტურის სამინისტროს სიგელი.

დასასრულს იუბილარმა წარმოთქვა სამად-  
ლობელო სიტყვა.

1966 წლის 26 დეკემბერს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს ოეტრალურმა საზოგადოებამ და ს. ორჯონიშვილის სახელის თელავის სახელმწიფო თეატრმა სასცენო მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავად შემოქმედებითი საღამო გაუმართეს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, მარიამ ალექსანდრეს ასულ დალაშვილს.

მ. დალაშვილის სასცენო მოღვაწეობაზე პოხსენებით გამოვიდა საქართველოს ოეტრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. იაკაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მ. დალაშვილის სასცენო მოღვაწეობა ველისციხის სახელმწიფო თეატრში დაიწყო 1936 წელს. რესუსორმა იოსებ შებურიშვილმა სრულიად გამოუცდელ ახალგაზრდა გოგონას დააკისრა საქმაოდ რთული როლი პიესაში „შაჰნაშე“, — იგი ამასხიერებდა შაპის მეუღლის როლს. რომლის შვილსაც შაპი სიცოცხლე მოუსწრაფა. — კარგი მონაცემების მქონე მომავალმა მსახიობმა საქმაოდ დამაჯერებლად გადმოგვცა დედის უზომო ტრაგედია. ეს იყო დასაწყისი მისი სცენიური კარიერისა. სხვადასხვა დროს მ. დალაშვილმა საქმაო ისტატობით განასახიერა ზეინაბის როლი სუმბათაშვილ-იუჟინის „დალატში“, კრუჩინინა (ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“). კინტო აკ. წერეთლის ამავე სახელწოდების პიესაში, დარო ბერიაშვილის როლი „ვაზის ტირილში“ და მთელი რიგი სხვა.

სულ 30 წლის განმავლობაში მსახიობმა შექმნა ორასამდე დასამახსოვრებელი სახე. მომხსენებელი საქმაოდ დეტალურად შეჩერდა მ. დალაშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, — განსაკუთრებით სამამულო ომის მძიმე წლებში მის მიერ საშეფო კონცერტებში მონაწილეობაზე, — მ. დალაშვილზე, როგორც ახალგაზრდობის აღმზრდელზე. საუკეთესო მეგობარზე და მზრუნველ დედაზე.

მ. დალაშვილს მიესალმნენ თელავის საზოგადოებრიობის სახელით — თელავის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების გამგე ვახტანგ დათაშვილი; საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელით მიესალმა და საპატიო სიგელი გადასცა შარგო გოგოლაშვილმა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით მიესალმა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შალვა კალოსანძე; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახელით — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნათელა საღარაძე;

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სახელით — მაყვალა ცხომარია, იუბილარს მიესალმა პიესის „ვაზის ტირილის“ ავტორი გ. ბერიაშვილი და სხვა.

საღამოს მსვლელობისას მ. დალაშვილმა შეასრულა კრუჩინინას როლი („უდანაშაულო დამნაშავენი“), კინტოს როლი (აკ. წერეთლის „კინტო“), დაროს როლი (გ. ბერიაშვილის --- „ვაზის ტირილი“).

1966 წლის 19 დეკემბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწყო მსახიობ ხათუნა ჭიჭინაძის ხსოვნის საღამო.

საღამო გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარებ რესპ. სახ. არტისტმა დ. ანთაძემ.

მოგონებებით გამოვიდნენ ხათუნა ჭიჭინაძის კოლეგები, მეგობრები: ბ. ულენტი, მ. ჭიათურელი, კ. კალაძე, ს. ჭელიძე, გ. ბუნიკაშვილი, გ. კოსტავა, ს. იაშვილი.

1921 წელს უნივერსიტეტის სტუდენტი ხ. ჭიჭინაძე ჩაირიცხა აკ. ფალავას დრამატულ სტუდიაში. სტუდიის დამთავრების შემდეგ, 1924 წელს, იგი ჩაირიცხულ იქნა რუსთაველის თეატრის დასში. პირველი სერიოზული როლი, რომლითაც ხ. ჭიჭინაძემ მიიპყრო მაყურებლის განსაკუთრებული ყურადღება, იყო ტატიანა ბ. ლავრენევის „როვევაში“. რუსთაველის თეატრის სცენაზე მან განასახიერა ოფელია (უ. შექსპირის „ჰამლეტი“), ლევკიპა (ლ. ფულდის „ვირის ჩრდილი“), თალო (ნ. აზიანის „დეზერტირება“) და სხვა.

1928 წლიდან ხ. ჭიჭინაძე გადავიდა კ. მარჯანიშვილის მიერ დაარსებულ ქუთასის-ბათუმის მეორე სახელმწიფო თეატრში (ამჟამად— მარჯანიშვილის სახელობის თეატრი).

ხათუნა ჭიჭინაძემ ქართულ სცენაზე შექმნა მრავალი სცენური სახე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ევა ბერგი (ე. ტოლერის „ჰობლა, ჩვენ ვცოცხლოთ“), ხატიკე (კ. კალაძის „ხატიკე“), ხასინტა (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“); კომისარი ქალი (ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“), დესპინე, დარია (შ. დადიანი — „ნინოშვილი: გურია“), ლუიზა (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“) და სხვა.

1935 წლიდან 1937 წლამდე ხ. ჭიჭინაძე მონაწილეობდა, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი, რადიოკომიტეტის კონცერტებში...

კ. მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელმა გ. ლორთქა-

ფანიძემ წაიკითხა ხათუნა ჭიჭინაძის უახლოესი მეგობრის ვ. ანგაფარიძის წერილი (რომელიც საღამოს ვერ ესწრებოდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სიმპოზიუმზე ყოფნის გამო).

„... ნიჭიერი შემოქმედი იყო. — ყოველი სცენური სახე მის მიერ შეემნილი იყო როგორც ვარსკვლავი, რომლის შუქი თვალს არ სწრიდა, მაგრამ გულს სწვდებოდა, თბილი და მიმზიდველი იყო, ქალური სინაზით აღსავს, საოცარი გრაციოზული და პლასტიკური...“

... ხათუნა უაღრესად ბედინერი იყო. ეს იყო თეატრის ოქროს ხანა, მარჯანიშვილის ბრწყინვალების დრო. უშანების ნიჭი დაგვნათოდა და გვერდით გვყავდა პლეადა ბრწყინვალე მსახიობებისა. სიხარული, აღგზება, დღესასწაული სცენაზე და სცენის გარეთაც. სიცოცხლეს საცსე თასით ვსვამდით! ზოგჯერ ღრუბლებიც გადაივლიდნენ ჩვენს ცაზე, მაგრამ უამისოდაც ხომ არ შეიძლებოდა. მე ცუდი დღეები აღარ მახსოვი. დამრჩა ის, რაც განუმეორებელი იყო; თითქოს უწყვეტი დღესასწაული, როგორც ცისარტყელა, რომელიც ერთი კიდიდან მეორეს გადასწვდებოდა მთელ ცაზე.

ყოველთვის ერთად ვიყავით; ქუთაისმა საოცარად დაგვგავშირა! გვიყვარდა ერთმანეთი, და ყველას გვიყვარდა ხათუნა! მის ბუნებაში იყო თავმოყრილი ის სიმღერდე, რომელიც ადამიანს ბედინერად ხდის. რა გული ჰქონდა, კეთილი, მოსიყვარულე, მზრუნველი, სახე მოღიმარი. ღიმილი მას საოცარად უხდებოდა, თვალებში გამოუცნობი სურვილი უკროდა და მთლიანად იყო საოცარად მიმზიდველი...“

დასასრულს დ. ანთაძემ დამსტრეთ აცნობა, რომ უახლოეს მომავალში საღამოები გაიმართება ამჟამად ისეთი მივიწყებული მსახიობების მოსავარებლად, როგორებიც არიან ბ. შავიშვილი, ე. ლორთქითანიძე, ივ. ლალაძე, ვან. აბაშიძე და სხვები, — და რომ შორს არ არის ის დღეც. როდესაც მათ შესახებ გამოიცემა ცალკეული მონოგრაფიები ან მთლიანი კრებული.

საღამო დასრულდა მხატვრული განყოფილებით.

## ტორის ფოტონამუშავართა გამოფენა

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ხელოვნების მუშაკთა სახლთან ერთად საინტერესო ღონისძიება ჩაატარა. ა/წ 3 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ფოტო-კორესპონდენტის ტორის ნამუშევართა გამოფენა.

გამოფენა ჯერ კიდევ 1965 წელს მოეწყო თელავში ტორის საკუთარ ბინაზე, რომელმაც განაპირობა მისი თბილისში ჩამოტანა.

ტორი (ისაკ იოსების ძე ტერტერაშვილი) დაიბადა თელავის მაზრის სოფელ მატანში.

ისაკს ახალგაზრდობიდანვე იზიდავდა ფოტო და თეატრალური ხელოვნება. თელავის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი თბილისში ჩამოსულა და ჯერ შეგირდად დაუწყია მუშაობა ფოტოსტუდიაში. შემდეგ კი სამხატვრო სასწავლებელში ჩარიცხულა მოქანდაკების განყოფილებაზე, მაგრამ მსოფლიო ომს ხელი შეუშლია მისი ოცნების განხორციელებისათვის.

1919 წელს ისაკი ისევ თელავში დაბრუნდა და ფოტო საქმიანობას მოჰკიდა ხელი; თან პარალელურად თელავის სკოლაში ხატვის მასწავლებლობა დაიწყო. იქვე ფოტოწრეებიც ჩამოაყალიბა და მოზარდი თაობა ჩაბათავის საყვარელ საქმიანობაში; ამასთანავე დაუახლოვდა თელავში აჩსებულ სცენის მოყვარეთა დრამატულ დასს. რომლის ხშირი სტუმრები იყვნენ ქართული თეატრის შესანიშნავი ოსტატები ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვები. მათთან ახლოს ყოფნა ისაკისათვის დიდი სკოლა იყო.

1932 წელს თელავში დაარსდა სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომლის ერთერთი წევრი ტორიც გახდა. მას მრავალი როლი აქვს შესრულებული თელავის სახ. თეატრის სცენაზე, მაგრამ მისი ძირითადი სპეციალობა მაიც ფოტოგრაფია იყო და თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ემსახურება ამ კეთილშობილურ საქმეს.

ხელოვნების მუშაკთა სახლში, ტორის ფოტო-ნამუშევართა გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა საჭ. თეატრალური საზოგადო-

ების თავმჯდომარემ, რესპ. სახ. არტისტმა დ. ანთაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ საჭ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დრამატურგი მიხ. მრევლიშვილი, პრეზიდიუმის პ/მგ. მდივანი, საჭ. სსრ ხელოვნების დამსახ. მოღვაწე დ. ჩხეიძე, თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძე, კრიტიკოსი ერ. ქარელიშვილი და სხვები.

სიტყვებში გამოსულმა ამხანაგებმა ერთხმად აღნიშნეს გამოფენის შემეცნებითი მნიშვნელობა.

თემატიკის მიხედვით იგი მრავალფეროვანია. მასში ასახული კახეთისა და განსაკუთრებით თელავის სამეურნეო და კულტურული განვითარების ამსახველი მომენტები, ლამაზი პეიზაჟები, სოციალისტური შრომის ბარაქიანი სოფლები და მისი მოწინავე ადამიანები. მაგრამ ხელოვნების დარგის მუშავებისათვის განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ ტორმა ფოტოფირის საშუალებით ისტორიას შემოწახა და ჩვენს თვალწინ გააცოცხლა გამოჩენილ ხელოვანთა საყვარელი სახეები, მათ შორის ქართული კინოს მშვენების ნატო ვაჩნაძის ეშხი და სცენის შესანიშნავი ოსტატის ლადო მესხიშვილის სილამაზე, ჯანსაღი სიცილის, ოსტატი ელისაბედ ჩერქეზიშვილი ქართულ ლექაქში, თეატრალური ხელოვნების ქურუმები ვასო აბაშიძე და ვალერიან გუნია, ჩვენი სიამაყე კოტე მარჯანიშვილი, ქართული პოეზიის მომავავე და მუდამ ძიების მოყვარული გოგლა ლეონიძე აღაზნის პირას და გრემისა და იყალთოს მყუდრო მიღამოებში, საზოგადო მოღვაწე შალვა დაიდანი, უშანები ჩხეიძე, პიერ კობახიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, მიხეილ გელოვანი, ირაკლი გამრეკელი, პეტრე ოცხელი, იოსებ გრიშაშვილი და სხვები.

და კიდევ ჩვენი სცენისა და ჩვენი ლიტერატურის სიამაყენი — ვერიკო ანგაფარიძე, ვახტანგ ჭავჭავაძე, სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, დლიდო ანთაძე, სესილია თაყაიშვილი, მიხეილ ჭიათურელი, თამარ ჭავჭავაძე, პეტრე ამირანაშვალი, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდაშვილი,

სოლიკო ვირსალაძე, ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია და სხვები და სხვები!

ტორს თვითეული ფოტოგადაღების ისტორიაც კი ახსოვს...

გამოფენის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს აგრეთვე დამთვალიერებელთა საინტერესო ჩანაწერები, რომლებიც ერთხმად აღნიშნავენ გამოფენის ღირსებასა და ფოტოსელოვანის ტორს დიდ სიყვარულს ქართული კულტურისადმი, მისი შესანიშნავი წარმომადგენლებისადმი.

„...ჩვენს მეხსიერებაში იგი აცოცხლებს, ჩვენი საუკუნის ქართული კულტურის მთელ ძატიანეს, მისი საუკეთესო წარმომადგენლების სახეთა დიდებულ გალერეას“... — სწერს ბესარიონ ქლენტი.

ტორი დღესაც დიდი სიყვარულით განაგრძობს თავის საყვარელ საქმეს.

1967 წლის 10 იანვარს დაიხურა ტორის ფოტონამუშევართა გამოფენა.

გამოფენის დახურვაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქ. სსრ სახალხო არტისტი დ. ანთაძე.

მოხსენება წაიკითხა თეატრმცოდნე ნ. მესხმა. სიტყვებით გამოვიდნენ:

კრიტიკოსი ერ. ქარელიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ი. მეგრელიძე, პოეტი ალ. ბეგაშვილი, გაზ. „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი მ. ღავითაშვილი და ალ. გაჩეჩილაძე.

## Краткая аннотация

### Традиции и современность

Автор ведет взволнованный рассказ об успехах и достижениях грузинской культуры как на всесоюзных форумах, так и на международной арене, в связи с юбилейными днями Шота Руставели и выражает

уверенность, что деятели грузинской культуры создадут высокохудожественные произведения, посвященные пятидесятилетию Великого октября и столетию со дня рождения В. И. Ленина.

### Встречи в Киеве

Театровед Н. Швангирадзе в своей статье «Встречи в Киеве» рассказывает о волнующих, радостных встречах с деятелями культуры и искусства Украинской ССР во время пребывания Грузинской де-

легации в Киеве на торжествах, — посвященных 80-летию со дня рождения великого Грузинского поэта и мыслителя Шота Руставели.

### Государственный академический театр Оперы и балета им. З. Палиашвили в Венгрии и во Франции

Автор повествует о большом успехе грузинской балетной труппы в Венгрии, в Сегеде, а также об успешном выступлении

той же труппы в Париже на четвертом международном фестивале национальных балетов.

### Гастроли Государственного академического театра им. К. Марджанишвили в Москве и Ереване

С 19 июля по 5 августа 1966 года театр им. Марджанишвили гастролировал в Москве. Несмотря на известные трудности, гастроли театра прошли на высоком художественном уровне, за что всему творческому коллективу театра приказом Министра Культуры СССР т. Фурцевой была объявлена благодарность.

С 21 ноября по 5 декабря 1966 года той же театр им. Марджанишвили выехал в Ереван с гастролями дружбы. Зрители армянской столицы, — ее театральная общественность дали высокую оценку спектаклям театра, высокохудожественной игре его актеров, — за что театр им. Марджанишвили был награжден почетной грамотой Верховного Совета Армянской ССР.

### Юбилей Ю. Кобаладзе

Юбилейный вечер посвященный шестидесятилетию со дня рождения Народного артиста Груз. ССР Юсуфа Кобаладзе, состоялся в помещении батумского Госуд.

театра им. И. Чавчавадзе. С докладом «Жизнь и творчество Ю. Кобаладзе» выступил Ш. Куридзе. С приветственными речами выступили зам. Министра культуры

Груз. ССР Ак. Двалишвили, Председатель Президиума Театрального общества Гру-

зии Д. Антадзе, Народный артист СССР В. Годзиашвили, Ак. Васадзе и другие.

### Творческий вечер М. Гагашвили

26 декабря 1966 года в Телавском Государственном театре им. С. Орджоникидзе состоялся творческий вечер заслуженный артистки Груз. ССР Марии Гагашвили, посвященный 30 летию ее сценической деятельности.

С докладом о жизни и творчестве М. Гагашвили выступил зам. председателя театрального общества Грузии Г. Иакашвили.

М. Гагашвили приветствовали зам. отделом Телавского Исполкома В. Даташвили, от имени Министерства культуры Грузии ССР М. Гоголашвили, от имени Театрального общества Грузии Ш. Киладзе и др.

В заключение М. Гагашвили исполнила несколько сцен из своего репертуара.

### Вечер памяти Х. Чичинадзе

19 декабря 1966 года в Доме работников искусств состоялся вечер, посвященный памяти актрисы Хатуны Чичинадзе.

— С воспоминаниями выступили коллеги и друзья Х. Чичинадзе — Б. Жгенти, М. Чиаурели, К. Каладзе, С. Челидзе,

Г. Бухникашвили, Г. Костава, С. Иашвили, В. заключение Г. Лордкипанидзе зачитал письмо В. Анджапаридзе, в котором она характеризует Х. Чичинадзе как человека, и как актрису.

### Выставка фоторабот Тори

3-го декабря 1966 года в помещении Дома Работников искусств открылась выставка фотокорреспондента Тори.

На открытии вступительное слово произнес Председатель Президиума Театрального Общества, Нар. артист республики Д. Антадзе.

— С речами выступили драматург М. Мревлишвили, отв. секретарь През. Театр. об-ва Грузии Д. Чхеидзе, театролог Н. Швангирадзе, Критик Эр. Карелишвили и др.

## ს ა რ ჩ ვ 3 0

1. ტრადიცია და თანამედროვეობა . . . . .	3
2. შეხვედრები კიევში . . . . .	6
3. ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი უნგრეთსა და საფრანგეთში . . . . .	9
4. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი მოსკოვსა და ერევანში .	14
5. იუსუფ კობალაძის იუბილე . . . . .	21
6. მ. ღალაშვილის შემოქმედებითი საღამო . . . . .	23
7. ბ. ჭიჭინაძის ხსოვნის საღამო . . . . .	24
8. ტორის შემოქმედებითი ფოტო — მხატვრული გამოფენა . . . . .	25



## С О Д Е Р Ж А Н И Е

1. Традиции и современность . . . . .	3
2. Встречи в Киеве . . . . .	6
3. Государственный академический театр Оперы и Балета им. З. Палиашвили в Венгрии и во Франции . . . . .	9
4. Гастроли Государственного академического театра им. К. Марджанишвили в Москве и Ереване . . . . .	14
5. Юбилей Ю. Кобаладзе . . . . .	21
6. Творческий вечер М. Гагашвили . . . . .	23
7. Вечер памяти Х. Чичинадзе . . . . .	24
8. Выставка фотографий Тора . . . . .	25



ТОГ  
ВЕСТИК  
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1966

№ 4 (37)

ფასი 18 გრ.  
Цена коп.

გადაეცა წარმოებას 8|II 1967 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/III 67 წ.

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2,0

ზ. 496

უ. 07496

ტ. 200

---

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. ობილისი, გორგის ქ. № 3  
Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3